


საქართველოს
საზოგადოებრივი



№ 6



საზოგადოებრივი — ივნისი.



1910



შინაარსი:

I—ნაკადული—ჯექსი, ნ. ჩხაკაძისა	3
II—ერთხელ დილით,—გუგუტისა	5
III—პატარა ხე,—ნ. ლორთქიფანიძისა	10
IV—პატარა გარრის ბალი,—ამბაკა უიდასი, (თარგმანი) ნა- ნო მანაშიძისა	12
V—ღედა და შვილები,—(თქმულება), ვაჟა-ფშაველასა	23
VI—მწუხარების ტყე,—სურბიაუდი ზღაპარი, (თარგმანი), ელ. ჭაჭინაძესა	31
VII—ალექსანდრე გარსევანის ძე ქვეკვიციანი,—ა. ხახანა- შვილისა	36
VIII—მარკოზ ტვენი,—ა. ფ.—სა	42
IX—ეჟონალ-გაზეთების ისტორიიდან,—ს. ცომაიასა	48
X—ფუტკარი და მისი ცხოვრება,—წერადა შურგე, სპეც- ტრუ ჯგუფის არჩევა, თაფლის მოშენება შენაძე. აბ. წუ- დაძისა	51
XI—უძრავი და ცთომილი ვარკვლავები, (მდანკტება).— (თარგმანი), კასო დამბაშიძისა	55
XII—ნარევი:—ა) შარადა,—ბ) რებუსი და აღსნა	61



ი ა





შინაარსი:

I— ნაკადული — ლექსი. ნ. წიკვაძისა	3
II— ერთხელ დილით, — ცქვიტისა	5
III— პატარა ხე, — ნ. ლორთქიფანიძისა	10
IV— პატარა გარრის ბაღი, — აშაფა უიდასი, (თარგმანი) ნი- ნო შარაშიძისა	12
V— დედა და შვილები, — (თქმულება), ვაჟა-ფშაველასი	23
VI— მწუხარების ტყე, — სერბიულა ზღაპარი, (თარგმანი), ელ. ჭიჭინაძისა	31
VII— ალექსანდრე გარსევანის ძე ქავკავაძე, — ა. ხახანა- შვილისა	36
VIII— მარკოზ ტვენის, — ა. ფ — სი	42
IX— ეურნალ-გაზეთების ისტორიიდან, — ს. ცომაიასი	48
X ფუტკარი და მისი ცხოვრება, — წერიალი მერვე, საფუ- ტკრე ადგილის არჩევა, თაფლის მომცემა მცენარე. აშ. წუ- დაძისა	51
XI— უძრავი და ცთომილი ვარკვლავები, (ზღანეტება). — (თარგმანი), ვასო ღამბაშიძისა	55
XII— ნარევი: — ა) შარადა, — ბ) რებუსი და აღსნა	61



ნაკადული.

ღობის რაკრაკით,
თევ-ქვე ეშვება,
გზა-გზა ბაღებს
ეაღერსება.

ლაღად კისკისებს,
სმენას იტაცებს,
ყვავილთ აცოცხლებს,
თვითონაც სტკებბა.

ჭშვენის ლურჯ ველსა,
როს ეპკურება,

იღუმალ ამბებს
 ესაუბრება.

სულ მარგალიტობს,
 არც არავის მტრობს
 ქალის სიციცხლე,
 მთის ნეტარება.

ოდეს მნათობი,
 გულის გამთბობი
 კრთოლვა-ციმციმით
 გიქმეფს ეფრქვევა,

ის თრთის, კანკალებს,
 ვერცხლებრ კამკამებს
 და ბალახებზე
 კრემლიდ იბნევა.

და როს ნიაფი,
 მარდად მფრინავი,
 ფოთლებსა არხევს,
 ბუჩქებს ეხევეა,

მაშინ სრიალით,
 თავ-ქვე ტრიალით
 დაბლა, მიწაზე
 სცვივა და სცვივა....

6. ჩხიკვაძე.





ერთხელ დილით.



ინდდებოდა. დაუწყინარებელ ქალაქს იმ სა-
ლამოს რაღაცა არა ჰვეულებრივი ჩოჩქო-
ლი და მოუსვენრობა ეტყობოდა. ყველა
ერთსა და იმავეს გაიძახოდა, ყველა რა-
ღასაც ელოდა და იმ მოლოდინით უფრო
ღელდებოდა.

— რა ამბავია, ეი, კუზიანო! —
შეეხმაურა ეკლესიის გვერდით
მდგომი ფეხ-მოხერხილი გლახა

იქვე კუნჭულში მჯდომ, სანთლის ფრად მიღეულ კუზიანს და
თან ხის ფეხის რაკა-რუკით მიუახლოვდა.

— ესენი მართლა აღარ ხუმრობენ! ასე ამბობენ — კუ-



დიანი ვარსკვლავი დედამიწას უნდა დაეხალოს და მთელი ქვეყანა გაანადგუროსო. უყურე, ყველა,—დიდი თუ პატარა, ქვიანი თუ უქვიო—სულ მაგის ლაპარაკში არიან. გადარეულებივით დარბიან და ჩვენ-კი არავითარ ყურადღებას არ გვაქცევენ. თითქოს ქვეყნის დაღუპვისაც-კი შიმშილით უნდა შევეყარნეთ. მოვკვდი, მთელი დღე ხელი გაიშეშდა ამდენის თხოვნით, მაგრამ...

— ქალბატონო! შენი ჰირიმე, მოწყალება მოიღე, ლუკმისთვის ორიოდ გროში მიბოძე უფებო გლახას...—შესწყვიტა უცბად ლაპარაკი და ერთ მოხუც ქალს უკან გამოედევნა. ქალმა ორ კაპიკიანი გამოუწოდა და თან ისე სწრაფად მოშორდა, გეგონებოდათ, თითქოს თვითონ მოსტაცა რამე და გაექცაო. გლახა სიცილით უკანვე გამობრუნდა და კუზიანს ისევ ჩაელაპარაკა:

— უბედურს ჩემი ისე შეეშინდა, თითქოს კუდიანის ვარსკვლავის მოვლინება ჩემი ბრალი იყო! თან ისეთის თვალით შემომხედა, რომ რაც ხელში მეკავა, კინაღამ მე თვითონ იმას ვაჩუქე.

კუზიანმა სევდით სავსე თვალები დაღლილივით შეანათა და ოღნავ ხელის დაქნევით ჩუმად უპასუხა:

— დიდი ხანია ეს წუთი სოფელი დასანგრევი და გასანადგურებელი იყო, მაგრამ ამ ცოდვიან ქვეყანას რაღაც ძალა იფარავდა. მერე, როდის? უფრო სუსტის ხმით ჩაეკითხა და თან მოკრიალეზულ ცის გუმბათს ისე მიაშტერდა, თითქოს ქვეყნის ბედი და იღბალი იქ უნდა ამოიკითხოსო. უფებომ ძლივს-ლა მიამახა „ამლამაო“ და თვითონ-კი ისევ ერთ სქელ გენერალს ფეხის რაკა-რუკით გამოედევნა. კუზიანმა ერთხელ მწარედ ჩაიციხა, გაწედილი ხელი მუხლზე მიიმეღ ჩამოუვარდა და, რაღაც ფიქრით მოცულმა, თავი უფრო დაბლა დახარა.

კიდევ დაღამდა. დრო თანდათან შუა ღამეს უახლოვდებოდა და ხალხის მოძრაობა მის წინ შესამჩნევლად სუს-



ტლებოდა. ბოლოს რაღაც ხმაურობა შორს საღვთისმშობლისა და შემდეგ იქაურობა ახლად მიძინებულ იყო. მიწყნარდა. კუზიანმა ამ სიჩუმეზე გამორკვეულივით თავი მალლა წამოიღო, აქეთ-იქით მიმოიხედა და რაღაც მშვიდის ხმით, ლოცვის მგზავსად, წყნარად წარმოსთქვა:

— ღმერთო! როგორ მიწყნარებულია არე-მარე! ალბად, მართლა ყველა ისე შეშინებულია დედამიწის მოსალოდნელ განადგურებით, რომ თვალ-მახვილ მეფხოვესაც-კი დავიწყებია ჩემი აქედან გაგდება. ან-კი რას შემამჩნევდა ბნელ კუთხეში ლოდევით მობლუნძულ კუზიან ვლახას, — ჩაიცინა და ისევ წყნარად განაგრძო:

— ჰმ, დედა მიწა გაცამტვერდეს, უნდა მოისპოს მისი ავი და კარგიო... მერე? მერე რაღა უნდა დარჩეს, ან როგორ უნდა განადგურდეს ეს თვალ-უწვდენელი დედა მიწა თავის ავ კარგით. მაშ, ვიღას გაუნათებს ნათელი მზე? ვის გულს ჩანოაშტერდებდა ნაღვლით სავსე მთვარე? ვის გაუღრპავებს სევდებს, ვიღას ატირებს მეტის ეშხით, გრძნობით ვის ამღერს, ვის გააცინებს? ნუ თუ ყველა უნდა მოისპოს, ყველა ეს უნდა განადგურდეს? არა მჯერა!

აღფრთოვანებით წარმოსთქვა ესა, თან მეტის გრძნობით გამხმარი ხელი მყუდრო ჰაერში ისეთ ნაირად შეათამაშა, თითქოს მიუხვდა ვარსკვლავს თვალთ-მაქცეობასაო და უფრო მტკიცედ ზედ დააყოლა:

— მაშ, ვიღას დასჩურჩულოს სიომ დილისამ, ვის უკარნახოს ბედი ლხენისა, ვის აგრძნობინოს უბედურება, ვის აფრკვევინოს კრემლი მწუხარებისა, კრემლი დიადი, წმინდა კრემლი, რომელიც მე, ერთ მუკა მახინჯს გლახას, ისე მასპეტაკებს და ისე გარდამქნის ხოლმე, რომ მთელ ქვეყანას სამოთხედ მომაჩვენებს და ჩემს კრემლებს მისდამი ლოცვად და სიყვარულად ითვისებს. ღმერთო! რა მშვიდი და რა წყნარი ღამეა! სწორედ ისეთი მშვიდი და წყნარი, როგორც ლოცვის შემდეგ კრემლით გასპეტაკებული ეს ჩემი გული.



ცა როგორ ნაზად დაპკრთის თავზედ ათას ფეროვნად დედა მიწას, როგორ ეალერსება ვარსკვლავთა წყნარის ციმციმით ათას ნაირად მოქარგულ მის გულსა და სულს... და ეს ყველა უნდა განადგურდეს, უნდა მოისპოს მისი ვაი და მშვენიება? არა, არა მჯერა, რადგან ლამაზია, მშვენიერია და ისევ მეტად ჯეელი ყველა თავის კირ-ვარამითა. ლამაზია ჩემითაც კი, ჩონჩხის მსგავს, მოღეულ კუზიანითაც, რომელსაც ხალხი არც კი ამჩნევს, მაგრამ რომელიც უყვარს თავის ჯანმრთელობით, სიხარულით და დაუწყნარებლობით. აგერ აიქ პაწია ძაღლი რომ მიცუხტუხტებს და აქ კიდევ მე, თითქოს ორნივე შეუმჩნეველები ვართ, მაგრამ დედა მიწა ჩვენით ვრცელდება და მდიდარი. ზედ არაფერია არც მეტი და არც ნაკლები.

აქ გლახა კიდევ ჩაფიქრდა, შორით მონაბერ სიოს შრიალს ყური მიუგდო, მაგრამ დაჰბერა თუ არა განთიადის წინა შორბედმა, გრილმა სიომ, და ქალარა შერთულ თმას, ვით ჩვილი ყრმა, ისე შეეხო, მან თავი ისევ მალლა აიღო და გაქროლილ სიოს მიუერთხმავა:

— რა ნაზი და სიცოცხლით სავსე გაზაფხულის სუნი მოაქვს ამ სიოს! რა წყნარი და რა მშვიდი ლამეა! დიად, მშვენიერია დედამიწა მით, რომ ზედ არწივი, მზის სინათლეზედ, ლალად დაჰფრინავს და სინათლეს მოკლებული ბრმა ლამურა კი სიბნელის მონატურია. მშვენიერია დედამიწა მით, რომ მისზედ, აი, ამ გვარი ხალხიც სუფევს და აქ, ამ კუნტულში მივიწყებული ობოლი გლახაც! — წარმოსთქვა გლახამ წყნარის ღიმილით და თან ვარსკვლავთა მზგავსად გაბრწყინებული შავი თვალები იმ წამს გამოქროლილ ეტლს თან გააყოლა, რომელიც შუა ლამისას ქალაქ გარედ ნიავეით სწრაფად მიჰქროდა.

— მშვენიერია ქვეყანა, მშვენიერია წუთი სოფელი და, მანამდის არასოდეს არ მოისპობა, სანამ ყველას ისე ეყვარება, როგორც ახლა, აი, ამ ლამეს, როდესაც ასე სულ განაბულნი დიდებულ მზის ამობრწყინებას გულის ფანცქალით



ელიან. დაათავა, კუზით იქვე კედელს მიეყრდნო და აღიშინებულად დაელოდა. მთელი ღამე მისი სმენად გადიქცა. შორს, მწვანე მთიდგან ხალხის ჩოჩქოლი ყრუდ მოისმოდა...

* * *

გათენდა დილა. შვემ თითქოს სიცილით შემკრთალ ქვეყანას შემოაშუქა და მისი უხვი მშვენება წმინდა ნათელით დააგვირგვინა. ხალხი ქუჩებს, ვით მდელს მწერი, ათას ფრად მოეფინა. მათი თვალები ისეთისავე სიმშვიდით იცქირებოდნენ, ვით ტბა, ტყის პირად, ქარ-ბუქის და გულ-შემზარავი ამინდის შემდეგ. მათი გული ისეთის სიხარულითვე სძვერდა, როგორც ყრმის გული დედის შვერდში ალერსის დროს. მათ შორის-კი კუზიანი, სანთელივით ჩამომდნარი, ღამე ნატები, მაგრამ გამოუთქმელ მშვენებით სავსე თვალებით, იქვე ხელ გაწვდილი იჯდა და გამვლელ-გამომვლელს ვედრებით და სიყვარულით მისჩერებოდა.

ცქვიბი





პატარა ხე.

(თარგმანი)



აბურულ ტყეში მარტო იდგა მოხრილი პატარა ხე. ჩუმად იდგა სიამოვნებას მოკლებული: არავის ახსოვდა. ჩრდილი მიეყენებინათ, შეეკრათ და შეებოქათ ტოტებით დიდ-დიდ და ბედნიერ ხეებს, რომელთაც თავიანთი წვეროვები მაკოცხლებელ სხივებისთვის მიეშვირათ და ამაყად და მხიარულად იმღერდნენ.

ლამის ქარიშხალი დაეჯახა ბუჩქებს და ისე ძლიერად შეარყია, რომ ტყემ კვნესა დაიწყო; ტყე ოხვრით შეებრძოლა მტერს. მხეცივით დაეცა ქარი პატარა ხეს და ძირ-ფესვიანად აათრთოლა.

პატარა ხეს გულის ფანქვალით მიუახლოვდა გზა-დაბნეული, ბულბულ-გაწეწილი მტრედი, რომელსაც ატრიალებდა ტყეში ქარი.

— მოდი აქა. — მიაძახა პატარა ხემ და დედა-შვილურად მიმალა ნეშოში.

ფრინველის გული ჰგრძნობდა პატარა ხის ნაზ გულის ცემას და საშინელმა ყრუანტელმა დაუარა ტანში.



— მომეცი მტრედი, — ღმუოდა ქარი, — თორემ მგონი გაგწეწავ.

— გამწეწე, — მიუგო პატარა ხემ და უფრო მაგრად შემოჰხვია ხელი ნახს და მართოდვარე ფრინველს.

როცა ამშრალდა, მზეს სხივი მოჰფენოდა ტყეს და ცვრის ნამი ბკყვრიალებდა ზედ.

ფრინველი კიდევ წასულიყო; მადლობაც არ უთქვამს, არც კი გამოშშვიდობებია.

ატეხილ შამბში ისევ მარტოკა დარჩა პატარა ხე. მაგრამ დღეს ილიმებოდა, შშვიდად ილიმებოდა თავისთვის.

6. ლორთქიფანიძე





პატარა გარრის ბალი

ამბავი უიდასი.

(თარგმანი)

I



ამოდი, გარრი, ბალიდან, ხომ ჰხედავ—წვიმა მოდის!—დაუძახა მოხუცმა ქალმა ბალში მომუშავე პატარა ბავშვს.

— დაშაცა, ჩემო ბებილო! წვიმა რას მაწყენს?... კი არ მასველებს, თითქოს მკოცნის.

— გამოდი, ჩემო კარგო, გაცივდები!— გაუმეორა ბებიაშ.

რადგან გარრი კეთილი და დამჯერო ბავშვი იყო, უნებურად დაემორჩილა ბებუის სურვილს და მოწყენილი გამოვიდა ბალიდან.

ბავშვი სამზარეულოში შევიდა და თავის პატარა ნიჩბის წმენდას ისეთის ბეჯითობით შეუდგა, თითქო ნამდვილი გამოცდილი მებაღეაო.

— ყოჩაღ, ჩემო ბიჭიკო, — ეუბნებოდა ბებია და სით უსვამდა ხელს ლამაზ ხუჭუქ თმებზე.

გარრიმ ნალვლიანად ამოიოხრა და შურის თვალით დაიწყო ცქერა თავის კობტა ბალისაკენ, რომელსაც უხვად რწყავდა აპრილის ეუყუნა წვიმა.

— ეჰ, რამდენი ყვავილი დამრჩა გადაურგავი, — ნალვლიანად ჩაილაპარაკა ბავშვმა.

— ხვალაც მოასწრებ გადარგვას, არც ისე საჩქაროა, — შეტნიშნა ბებია.

მაგრამ ეს „ხვალ“ ას წლად ეჩვენებოდა შვილის წლის მებაღეს.

სახლი, სადაც ბებია და შვილი-შვილი სცხოვრობდნენ, ძალიან ძველი პატარა ქოხი იყო, ერთი იმ ქოხთაგანი, რომელიც ლარიბთა ჩვეულებრივი თავშესაფარია. ყველა სახლი ისლით იყო დახურული და კედლებში ისეთი პაწაწინა სანათურები ჰქონდათ დატანებული, თითქოს, ფანჯარა კი არა, უბრალო ნახვრეტები იყო. ქოხების წინ პატარ-პატარა ბაღები იყო გაშენებული.

მთელ თავშესაფარში სცხოვრობდა თვრამეტი მოხუცებული და ერთი ბავშვი — მებაღე გარრი; — ასე დაარქვეს პატარას.

ამ თავშესაფარში მარტო ღრმად მოხუცებულებს უნდა ეცხოვრათ; ბავშვების აქ ყოფნა აღკრძალული იყო, წესდების ძალით. გარრი-კი ასე მოხვდა აქ: ერთ ღამეს ვილაყამ დასტოვა ჩვილი, ობოლი ბავშვი თავშესაფარის ეზოს ერთ კუნჭულში. დილაზე ბავშვი იპოვა ყვავილებში ჩაწვენილი სარჩა ბოკერმა, რომელსაც ახლა გარრის ბებიას უძახდნენ. ახალგაზდობაში სარჩა გაღიათ დიდ ხანს ყოფილიყო, ბევრი ბავშვები გამოეზარდა და ძალიანაც უყვარდა პატარები.

ბევრი ცრემლი და ვედრება დასჭირდა ახლა ბებია ბოკერს, სანამ ნებას გამოითხოვდა თავშესაფარში დაეტოვებინა და თითონ გამოეზარდა ნაპოვნი ობოლი.



გარრის ხომ არავინ ეტყოდა ამ ამბავს და ბევრს თავისი თავი ბოკკერის ნამდვილ შვილის შვილად მიაჩნდა. სხვებსაც გაროდ ბოკკერი ეგონათ.

— საცოდავი ბიჭი! — იტყოდნენ ხოლმე იქაურები. — აბა, ვის რა გაუკეთდება, რომ საწყალ ბავშვს მისი ვინაობა გაუმხილონ!.. დეე, ფიქრობდეს, რომ ბოკკერის შვილის-შვილია!

სხვა შემთხვევაში აქაური ბებრები დიდი ენა-შეუკავებელი და მეჭორეები იყვნენ, მაგრამ გარრის რითიმე წყვილება ისევე მიუტევებელ ცოდვად მიაჩნდათ, როგორც ყვავილების დაგლეჯა მის პატარა ბაღში, რომელსაც ისეთის მოხერხებითა და ბეჯითობით უვლიდა პატარა მებაღე.

აქ ისიც უნდა მოვიხსენოთ, რომ, ცოტა არ იყოს, ბებია ბოკკერის შიშიც ჰქონდათ აქაურებს, რადგან ახალგაზდობაში ბევრ დიდკაცის ოჯახში იყო გადიანთ, თან ცოტადენი ფულიც ჰქონდა დაზოგილი შავის დღისათვის და ყველა ამას დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ აქაურები.

ბებია სარრას იმდენი ბავშვები გამოეზარდნა თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში, რომ გარრის გამოზდაც მშვენიერად მოახერხა და ისე შეიყვარა ბავში, როგორც ნამდვილი შვილის-შვილი.

მშვენიერი რამ იყო პატარა გარრი; მისი ლურჯი თვალები სწორედ ისეთისავე ფერისა იყო, როგორისაც გარრის ბაღში გაშლილი იის ყვავილები; მეტად მიმზიდველი და გონიერი, ლამაზი, ვარდის ფერი სახე ჰქონდა; ოქროს ფერი ხუჭუჭი თმები შნოიანად ეყარა ბეჭებზე. თუმცა აგებულება ნაზი ჰქონდა, მაგრამ ისეთი მარჯვე და ყოჩაღი იყო, რომ ვერც ერთი ზორბა ტანის მისი ტოლი ბავში ვერ შეედრებოდა მუშაობაში. დილიდან საღამომდე ბაღში ფუსფუსებდა: ხან საკუთარ ბაღს უვლიდა, ხან მეზობელს შევლოდა ბაღში რისამე გაკეთებას; თვისის იშვიათის გულმოდგინეობით ყველას აკვირებდა ეს უცნაური ბავში.

ასეთი დაულაღავის შრომის წყალობით გარის ბაღში მთელ რვა თვის განმავლობაში ზურმუხტებით იყო ამწვანებული და ფერად-ფერადის ყვავილებით აქრელებული. თითოეული ყვავილი, თითოეული ბუჩქი გასუფთავებული-გალამაზებული გამოიყურებოდა და მნახველის გულს ახარებდა.

თავშესაფარში ერთი მოხუცი მებაღეც იყო, მაგრამ ახლა აღარაფრის გაკეთება აღარ შეეძლო; პირველ ხანებში-კი ასწავლიდა გარის, თუ როდის და როგორ დაეთესნა რომელიმე ყვავილი, როგორ დაერგო ბუჩქი, ან რანაირად დაესხიპა და გაეზარდნა ესა თუ ის ხე-ხილი. ბავშვი ისეთი მიმხვედ-



რი და ნიჭიერი იყო, ერთი სწავლება ან ერთხეო რისაჲ ჩვენება ჰყოფნიდა, რომ მერე თითონაც ჩინებულად გაეკე-



თებინა საქმე. თავშესაფარის ბაღების დასათვალისწინებლად დასასუფთავებლად, ხეხილის დასამყნობად და დასასხეპად ქალაქიდანაც მოჰყავდათ ხოლმე ხანდახან მკოდნე მებაღე; ამისაგანაც ბევრი რამ დაისწავლა გარჩიმ ბაღის მოვლა-გაშენებისა.

რაკი პატარაობიდანვე ბავშვი მოხუცებულებთან ატარებდა დროს, უნებურად შეეჩვია და შეეწყო მათს ზნესა და ჩვეულებას. ბავშვი ყველას ზრდილობიანად და თავაზიანად ეპყრობოდა. მუშაობის დროს წყნარად მიაგორებდა ხოლმე ქვებითა და გორბებით დატვირთულ პატარა ურემს, რომ ხმაურობით არავინ შეეწუხებინა, უქმე დღეებში წყნარად თამაშობდა, თავისბურთის, ან პეპელების დევნით ერთობოდა. ქუჩის ბიჭები დასცინოდნენ გარჩის და სცდილობდნენ ეზოდან გამოეტყუათ პატარა მებაღე, მაგრამ გარჩი ისე შეეჩვია სიწყნარეს და მარტობას, რომ ყურადღებასაც არ აქცევდა მათს ცუდლუტობას. იქაურ მეკარეს, მოხუც ჯონ სტერნს, დიდი ჯობი ჰქონდა და ძალიან სწყინდა, რომ მისი ხმარება აღარ შეეძლო ამ გიჟ ბიჭების მოსარჯულებლად, რაკი ძალზე ღონე-მიხდილი იყო და სისუსტის გამო სულ სთვლემდა თავის ძველ სავარძელში ქის-კარის შესავალთან; გიჟი ბიჭებიც ამიტომ გათამამდნენ; აცოცდებოდნენ ხის კენწეროზე და იქიდან დაუწყებდნენ გარჩის ქვების სროლას. ბავშვს საშინლად ეჯავრებოდა ასეთი საქციელი, მაგრამ ბაღიდან მიიწეოდა არ გამოდიოდა ამ დროს, რომ მარტო არ დაეტოვებია გაქირვების დროს იქვე მყოფი საყვარელი კატა პრიმი, მისი საუკეთესო მეგობარი და ბაღში დაბინავებული ჩიტები. პრიმი ჩინებულის ზნის კატა იყო და ძალიანაც უყვარდა გარჩის; ამიტომაც ეშინოდა ბავშვს, ერთ-ერთი ქვა პრიმს ან რომელსამე ჩიტს არ მოხვედროდა და არაფერი დაშავებოდა; თავისთვის-კი სრულიადაც არ ფიქრობდა. „როგორ უნდა მივატოვო მარტო პრიმი ან საბრალო ჩიტები, — ამბობდა გარჩი, — ჰქვია რომ მოხვდეთ, რაღა ეშველებათ?“



გარრი რომ ასეთის მოთმინებით იტანდა ბიკებს, — ლლუტობას, — ბების ეს გარემოება ძალიან აშინებდა: „ღმერთი არ გამიწყურეს და ბავშვი ლაჩარი არ გამოვიდეს“, — ფიქრობდა ბებია სარრა.

აგონდებოდნენ თავის წინანდელი გაზრდილები, რომლებიც ერთ ნამცეცა უსიამოვნებისათვის თავ-პირს დაამტვრევდენ ხოლმე ამხანაგებს; ამიტომაც ვერ გავგო, რა მიზეზია, რომ გარრი ერთხელაც კი არავის წასჩხუბებია მის სამტროდ გამოლაშქრებულ ბიკებში. სარრას დიდად ეშინოდა მხდალობით არ მოსდიოდეს ასეთი საქციელი. მხელოდ დიდის ხნის დაკვირვების შემდეგ, დარწმუნდა ბებია, რომ გარრის, ლაჩრობით კი არა, მეტის-მეტ სიღინჯით და მოთმინებით მოსდიოდა ასეთი საქციელი: უაზრო ცუდლუტობას და გიჟობას არავითარ ყურადებას არ აქცევდა, ოღონდ მის საყვარელ პრიმს და ჩიტებს არაფერი დაშავებოდათ. დიდ ბედნიერად უჭგრძნობდა თავს გარრი იმ დროს, როცა ვინმე მეზობელთაგანი მიიწყევდა, ბაღს დაგვიხედეო და თან ამა თუ იმ მცენარის შესახებ დაუწყებდნენ ლაპარაკს. ასეთი მიწვევა კი იშვიათი არ იყო ხოლმე. თუ მეზობლის ბაღში რომელიმე ხეხილი ან ყვავილი ისე კარგად ვერ იზრდებოდა, როგორც გარრის ბაღში, მეზობელი ხელად პატარა მებაღეს მიჰმართავდა რჩევა-დარიგებისათვის; აგრედვე ხშირად სთხოვდნენ ბავშვს ყვავილების თესლს და სამყნობ ყლორტებს; სამაგიეროდ ხშირად თითონაც მიუტანდნენ მეზობლები ფეშქაშად ამა თუ იმ ახალ ყვავილის თესლს ან ნერგს.

გარრის ბაღი განთქმული იყო მთელ იმ კუთხეში; ხშირად მოდიოდნენ მნახველები პატარა მებაღის გაშენებულ ბაღის დასათვალიერებლად და გაოცებულნი იყვნენ იმის სიღამაზით.

ის თავშესაფარი, საცა გარრი სცხოვრობდა, მოთავსებული იყო ქალაქ მილტაუნს, შუაგულ ინგლისში. ამ ქალაქში ბევრი ქარხნები იყო გაშენებული და მუდამ გაისმოდა



მანქანების შეუწყვეტელი რახა-რუბი და ზრიალი. მალალ საკომლეებიდან კუმშ-კუმშად ამოდაოდა სქელი კომ-ლი და შავად ეფანებოდა იქაურობას. ქვაბებიდან ორთქლი სტვენითა და კვილით ამოჰიოდა; მახლობელ მალაროები-დანაც ხშირად მოისმოდა ნალმების ძლიერი გრიალი; მთელ ქალაქში ხმაურობა, სტვენა-ქშუნა და უსიამოვნო შავი კომ-ლი იდგა. მაგრამ თავშესაფარი ქალაქის განაპირას იყო მო-თავსებული და არც იქაური ხმაურობა, არც უსიამოვნო მტვე-რი არ სწვდებოდა. პატარა ქოხები არხეინად იყვნენ ჩამა-ლული უხარ-მახარ ხეების ჩრდილში და ჰაერიც იქ ბევრად უფრო სუფთა და გრილი იყო, ვიდრე ქალაქში.

თავშესაფარს იქით-კი, ქალაქ გარედ, დიდი მინდორი იყო გაშლილი. გარჩი ხშირად დადიოდა ხოლმე ამ მინდორ-ში ყვავილების დასაქრეფად და ბალისთვის მწვანე ბელტოე-ბის ასაქრელად; ხელ-ცარიელი არასოდეს არ დაბრუნდებო-და ბავშვი ამ მინდვრიდან.

თუმცა ბებია ბოკკერი ანგარიშის ადამიანი იყო, მაგ-რამ გარჩისათვის სრულიად არ დაიშურებდა თავის ორიოდე გროშს; ამიტომაც საჭიროს არასოდეს არ მოაკლებდა ყმა-წვილს. ბებია ხშირად დაფიქრდებოდა ხოლმე გარჩის მომავალ ცხოვრებაზე; ერთხელ კიდევაც ჰკითხა ბავშვს:

— აბა, მითხარი, ჩემო ბიჭიკო, რა ხელობის კაცი გინ-და იყო, როცა დიდი გახდები?

გარჩი ამ დროს დინჯად ალაგებდა მაგიდაზე ჩაის კურ-კელს; მოიტანა ფინჯნები, ლამბაქები, საშაქრე, სარძევე, პური, ყველი და ბოლოს თავის ხელით დაკრეფილ ყვავი-ლების თაიგულიც შუაში ჩასდგა; ბებიასაც და ბავშვსაც ძა-ლიან უყვარდათ ყვავილები და თითქმის ყოველთვის ედგათ მაგიდაზე ან ბალის ან მინდვრის ყვავილების თაიგული. გა-რჩის თავის პრიმიც არ დაჰიწყებია, მისთვისაც მოიტანა პა-წაწინა ჯამი, რომელშიაც რძეს უსხამდა და პურის ნამცე-ცებს უგროვებდა თავის მეგობარს.

ბებიას შეკითხვაზე ბავშვმა თავი მალა აიღო, ტეკლე დააქციტა და გაოცებით შეჰხედა ბებიას.

— რა ხელობისა ვიქნები? — რა თქმა უნდა, მებაღედ დავრჩები, — მიუგო ბავშვმა.

— ჰო, ეგ ხელობაც ხომ ცუდი არ არის... — უპასუხა ბებია, მაგრამ ეტყობოდა ბავშვის ჰსუსხმა ვერ აამა მოხუცს: მას ძალიან მოსწონდა ჯარის კაცი და მეზღვაური.

— ჰო, მებაღობა ცუდი-კი არაა, — განაგრძო მოხუცმა, — მაგრამ, იცი, ჩემო გარრი, რომ მებაღეები ძალიან ადვილად სნეულდებიან ძვლების ტკივილით და დიდათ იტანჯებიან?..

ამ სიტყვების გაგონებაზე ბავშვმა ხელით დაუწყო სინჯვა თავის ზურგსა და ბეჭებს — ხომ არა მტკივაო.

მერე ბებიას მიუბრუნდა.

— ჩიტები ხომ მუდამ გარედ სცხოვრობენ, წვიმაშიაც, თოვლშიაც, ღამეც გარედ არიან, მაგრამ ძვლების ტკივილით არ ხდებიან ავად, ჩემო ბებილო!

— ეგ იმიტომ, რომ ჩიტებს ქონითგალიბული ბუმბული ასხიათ და მერე კიდევ, ჩიტები არასოდეს ტანთარ იხდიან, — ოღნავ ნაწყენის კილოთი დაუმატა ბებია და განაგრძო:

— ნუ თუ არ გენატრება, ჩემო ბიჭუნა, სხვა და სხვა ქვეყნის ნახვა, უცხო ალაგების დათვალიერება, მოგზაურობა?

— სრულიადაც არა, — მიუგო ბავშვმა და თავი გააქნია. — არასოდეს აქაურობას არ მოვშორდები, მუდამ შენთან ვიქნები, ამ სახლში, ამ ბაღში; აქედან რომ წავიდე, მაშინ რაღა ეშველება ჩემ საყვარელ ბაღს, საცოდავ პრიმს, აქაურ ჩიტებსა, — დაუმატა ბავშვმა და უფრო ძალიან გადააქნია ღამაში თავი. — არც მინდა ახლანდელზე უკეთესი ცხოვრება, — ჩაფიქრებით განაგრძო ბავშვმა და ნახად დაუწყო პატარა თითებით ალერსი მის წინ მდგომ ყვავილებს.

ბებია მ გაიციინა და განაგრძო ჩაის სმა.

— ყველას რომ ასე ეფიქრნა, ჩემო ბიჭიკო, როგორც შენ ფიქრობ, მაშინ ამერიკასაც ვერავინ აღმოაჩენდა! შენც, რომ გაიზრდები, ამ აზრისა იღარ იქნები, ჩემო კარგო!



— არა, ჩემო ბებიკო, მუდამ ამ აზრსა ვიკრძალებოდა! — დაიძახა ბავშვმა და ყურადღებით მიაჩერდა პეპელას, რომელიც ფანჯრის მინებს აწყდებოდა. — აი, ეს პეპელაც ძალიან ცდილობს აქედან საღადაც გაფრენას, მაგრამ სამის დღის მეტს-კი ვერ ცოცხლობს!.. წიგნში ასე სწერენ და....

— ჰო, ისინიც ხანდახან ადრე კვდებიან ხოლმე... მოგზაურები, წყნარად ჩაილაპარაკა მოხუცმა... მოაგონდა თავისი ძვირფასი ვაჟი, რომელიც ჩინეთის ზღვაში ჩაიღრჩო კარგადიდის ხნის წინად. ამ საშინელ მოგონებაზე თვალები ცრემლებით აევსო საღადავ ბებერს და გულზე საშინელი ნალექი მოაწვა. დარდის გასაქარვებლად ბავშს ხელი მოჰხვია და სიყვარულით დაუწყაო კოცნა მის ქოჩორა თავს.

— დარჩი, შენ გენაცვალე, შენს ბებერ დიდი დედასთან და შენს ყვავილებთან, იყავი ჩვენთან, თუ ასე გინდა! საწყალს ხელები ძალზე უკანკალებდა მღელვარებისაგან, როცა თავზე უსვამდა ბავშვს. — ნეტა თუ გავხდები ღირსი და მოვესწრები გარჩის დავაქაცუბას! რა ბედნიერი ვიქნები, რომ გარჩი თავის ხელით შეამკობდეს ყვავილებით ბებიის კუბოს!

გარჩი-კი ამ დროს პურს შეეჭკეოდა და ისევ ყურადღებით ადევნებდა თვალს პეპელას, რომელიც კიდევ ჩაფრენილიყო ბაღში და უდარდელად დაფრიალებდა ერთი ყვავილიდან მეორესკენ.

— რა ღამაზები არიან პეპელები, ბებიკო!.. რა კარგები იქნებოდნენ, რომ ისე მავნებელი არ ყოფილიყვნენ, როცა კიებათ იქცევიან, — ჩაფიქრებით შენიშნა ბავშვმა და განაგრძო ყურადღებით ცქერა ბალისაკენ.

— მიაბზე რამე პეპელებისა, ჩემო ბიჭიკო, — სთხოვა ბებიამ ბავშვს; — შენ ხომ ყველაფერი იცი იმათი, ჩემო კარგობა, მომიყევი!

სარკას ძალიან უყვარდა ბავშვების ნაამბობის მოსმენა. მთელ თავის სიცოცხლეში ბავშვებს უფლიდა და ძალიანაც ახალისებდა ყოველივე, რაც ბავშვებს ესიამოვნებოდათ. პა-



ტარებს-კი ძალიან უყვართ, როცა იმათ ნაამბობს ზღაპრებს
 გულიანად უგდებენ ყურს.

მერვე წელიწადში იყო გარბი, როდესაც თავშესაფარის მცხოვრებთ დიდი უბედურება დაატყდათ თავს. იმ ქალაქის თავმა ურჩია გამგეობას დაენგრიათ ის ქოხები, რომლებშიაც თავშესაფარი იყო მოთავსებული, გაეწმინდათ ის ალაგი და სხვა შენობა აეგოთ ზედ. თავშესაფარში მცხოვრებ მოხუცებულთა შესახებ კი გადასწყვიტეს, ფულით მიეცეთ შეწეობა და ისე გაეისტუმროთ იქიდანაო. თავშესაფართა მოსპობა სხვაგანაც დაიწყეს იმ დროს ინგლისში. მოხუცებულებმა რომ ეს ამბავი შეიტყვეს, უზომოდ შეწოთდნენ. თითქმის არც ერთ მათგანს ნათესავეები იღარა ჰყავდა და ვის უნდა ეკისრა მათი მოვლა-პატრონობა ღრმა მოხუცებაში! დიდ გაკირვებაში ჩავარდნენ საწყალი მოხუცებულები! შეჩვეულ ქოხებიდან მათი გაძევება სწორედ სიკვდილს უდრიდა. შედნენ წასვლით იმავე მდგომარეობაში ჩავარდებოდნენ ბებრები, რა მდგომარეობაშიაც ბუ ჩავარდება, შუადღისას რომ ბუდიდან ამოვადლოთ. ბუ ხომ დღისით სრულიად ვერაფერს ჰხედავს; ეს საწყლებიც სულ დაიბნეოდნენ და სადმე ჩაკვდებოდნენ, თავიანთ საბუღარს რომ მოშორდებოდნენ.

მაგრამ ყველაზედ უბედურად ჰგრძნობდა თავის თავს პატარა გარბი. მან ხომ ამ საწყალ კუთხეში გაახილა პირველად გრძნობა-გონების თვალი, აქ შეეჩვია მწვანე ბალახებში და კოხტა ბაღებში სირბილს, აქ თამაშობდა ბჰისკარის წინ დიდრონ ხეების ჩრდილებში, აქ შეეჩვია დასაძინებლად წასვლას იმ დროს, როცა მთავარ ანგელოზის მახლობელ ეკლესიაში საღამოს ზარის რეკას გაიგონებდა; აქ შეეჩვია დილ-დილაობით ბელურების ჭიკჭიკზე გამოღვიძებას; ის ხომ აქაურ ბჰისკარის დიდ ქვას დაეტოლებოდა ხოლმე და ისე ატყობდა, რამდენად იმატა სიმაღლით. ისე შეეჩვია თბილ,



მზიან დღეს აქაურ კოპწია წალკოტში საუბმის კაფეს მუშაობდა რელ ყვავილთა შორის, რომელიც ისეთის გულ-მოდგინებით ჰქონდა დარგული და ნაზარდი! მერე, ეს ბალი ხომ მისი საკუთარი ბალი იყო, საკუთარის ხელით გაშენებული, ხომ მე დავბარე, მე დავრგე, მე მოვრწყეო...

აქედან წასვლა, ჩემის ნამუშევარის მიტოვება! . არა, ეს საშინელება იქნება, საშინელი სასჯელი, უსამართლობა, სიკვდილზე უარესი.. მერე კიდევ: ვანა მარტო მიტოვებით გათავდება საქმე! არა, საქმე ის არის, რომ ეს შშვენიერი ბალი უნდა მოსპონ, აქაურობა უნდა დაანგრიონ, ამ შშვენიერ ყვავილებს უნდა დააყარონ ნანგრევები, მიწა, სილა, კირი... უნდა გაანადგურონ, მოსპონ... საყვარელი ყვავილები... ეს საშინელებაა, ეს შეუძლებელია!

ნინო შარაშიძე

(შემდეგი იქნება)





დედა-შვილები.

(თქულები)

შვილები



ედავ, გვიამბე,
რა ჰქნა წერომა?

დედა

რა უნდა ექნა,
მოჰკლა ბერომა.

შვილები

გვითხარი, მერე
სხვა რაღა მოჰხდა?

დედა

ტყვია რომ მოჰხედა
და წერო მოკედა,
დაავლო ხელი,
გასწია შინა...
გამოეგებნენ
ბაღლები წინა,
შეექნათ დიდი
ყვირილი, ღხენა,
ჰსურდათ ყველასთვის
წერო ეჩვენათ:
„რა მოგვიტანა,
ჰა, მამამ ჩენა!



უყურეთ ერთი
 ამის ფეხებსა.
 დაეარცხნის კოჩორს
 და დიდრონს მზრებსა!
 ჰნახეთ, გასინჯეთ
 მისი ნისკარტი, —
 "შიგ დაჰრჩენია
 მინდვრის წიწმატი.
 რომ უძოვნია,
 ჩვენთვის საკენკი
 არ უთხოვნია.
 საწყალო წერო,
 ველარ იმღერო!..."

შვილები

მერე რა მოჰხდა,
 ისიც გვითხარი?

დედა

ტკბილი სისმელი
 გახდა ძირ-მწარი.

შვილები

რაღა? რისთვისა?
 შური იძია
 ვინმემ მისთვისა?

დედა

სწორედ იძია,
 თუმცა ბეროსა
 ეს არ ეგონა.
 ოღონდ როგორმე
 წერო ეშოვნა;
 მოკვლა წეროსი



ღეთისთვის ეთხოვნა.
 ბოლოს ამბობდა.
 „მე რა მეგონა,
 წერო უწყრიტაღ
 არ გამეგონა,
 თუ ასე ძვირად
 დამიჯდებოდა,
 ნანატრი ავად
 ამიხდებოდა.

შვილები

განა რა მოჰხდა?
 განა რა წახდა?

დედა

იმასაც გეტყვით...
 რა ცეცხლი გერთყმისთ
 უთმენლობისა?!
 ვინც უთმენია,
 ვერ უთენია
 იმას ღამენი.
 მრავალ არიან
 ამის მოწმენი!
 ჰბლღენიან წეროსა
 და ერთს ღეროსა
 მის ბუმბულისას,
 ვით სუმბულისას,
 კოლი, ქალები
 და თვით ბაღლები
 არ გადაჰყრიან,
 კალათში ჰყრიან.
 უცდის ბეროცა,
 ხორცი არ უნდა;



სხვა რამისათვის
 ის უფრო სწუხდა.
 მას უნდა მხოლოდ
 წეროსა კუკი,
 მარგალიტისა
 იქ ერთი ბლუჯი.*
 ბაღებს აღადებს
 მარტო ჯიჯია,
 თავზე დაჰხარის
 გოგო, ბიკია,
 გაბტყენილსა წეროს, —
 გადასცეს ბეროს.
 გამოწლა მინა,
 გაუსო დანა
 და ამოიღო
 ის, რაც უნდოდა.
 პირჯვარს იწერავს.
 მწრე კუკს ჰსერავს.
 ღმერთო, რას ჰხედავს?!
 მარგალიტია
 შერკ კაკლის ტოლა;
 სულ დაავიწყდა
 ცოლ-შვილის ყოლა,
 ბაღლივითა ჰბტის
 სახე წითელი,
 იზრდება ტანით,
 როგორც წიფელი:
 „რა ამბავია,
 ღმერთო, შენს მადლსა!
 სჩანს, არ გასწირავ
 შენ საწყალ კაცსა!“

*) მდაბიო ხალხს სწამს, რომ წეროს კუკში მარგალიტი იპოვება.



ამას ამბობდა—
 იმას არ სცნობდა,
 რომ სტყუევდებოდა
 დიდად საწყალი.
 როდღი იცოდა,—
 ბოლოს იტყოდა,
 ღმერთს რა ფიქრი აქვს,
 რა სამართალი!

შვილები

რაში მოსტყუვდა,
 რომ გაუხარდა?

დედა

შიტომ, შვილებო,
 რომ გაუმწარდა
 პოენა თვალისა,
 ძვირფას ლალისა.
 იმავე ღამეს,
 წერო რომ მოჰკლა,
 და რა დღესაცა
 იგი გამოსწლა,
 გამოეთხარა
 სწორედ ის თვალი,
 რითაც გაჰხედა
 თოფსა მიზანში,—
 წეროს მოარტყა
 ტყვია ჩიჩახეში.
 თამარ-ნღფეცა
 ნახა სიზმარში
 სწორედ იმ ღამეს...
 წყლულის ტკივილი
 ძლივს დაუამეს.



ბრალად ყვიროდა...

„ვაჰ, თვალი, თვალი!..“

უწუხდა გული,
დაასხეს წყალი...

კოლი მკითხვეთან

დილით გარბოდა.

როცა დაბრუნდა,

ამას-ამბობდა:

„მკითხვემა რა სთქვა,

გაიგეთ, იცით?..

ნათქვამს ამოწმებს

ხატ-ღმერთის ფიციტ:

უამბე მასა,

როგორაც დასა,

თვალზე ყოველი,

სიზმრის ნახვაცა,

ამბავე მთელი...

დაქიან ეს სთქვა,

არ რაიმე სხვა,

სანთლებს გაჰხედა,

აღში ჩაჰხედა,

და იქა ჰნახა

თავად თამარი,

რომელმაც უთხრა

სიტყვა ამ გვარი:

— „ის მარგალიტი

ჩემია, ჩემი.

როცა შევ-ზღვაში

ჩაუშვი გემი,

ხონთქართან მქონდა

ფიცხელი ომი,

მაშინ დავკარგე,



გვირგვინს ამიწყდა.
აქ მომიტანონ,
მე თავად მინდა.
სად ვიპოვნიდი
ჩავერდნილს ზღვაში
და ეხლა ღმერთი
მიბრუნებს ახში,
რაკი ჩაუგდო
წეროსა ყბაში
და მის წყალობით
გამოჩნდა ხალხში!
ხომ იცით, ჩემი
სადგური ფშავში
და სალოცავი
არაგვის თავში.
იქ მოიტანეთ
და ვადმოაგდეთ.
იმ ქვა-ლორღებში
ეტოლოს იგი,
სად ნანგრევების
რიგს მისდევს რიგი.—
სადაც ჰქრის ლალი
ნიაფი მთისა;
ძმისა არ სდევნის
ლალატი ძმისა,
გუნდი და გუნდი
მთელის ერისა
ჩემს სადიდებლად
ლექსებსა მღერის.
ჩემ თვალით ნახვას
უთმენლად ელის.
სადაც, ვისც რა აქვს,



მოაქვს და მწირავს,
 სულიც ჰხდებოდეს,
 მე არ გამწირავს! --
 იი რა უთხრა
 მკითხავემა ცოლსა
 და ცოლმა კიდევ
 ქმარსა ნაწოლსა;
 ირ აასრულა
 ვიდრე ბრძანება,
 არა ჰშორდება
 ბეროს წვალება.
 სიზმარში მუდამ
 შუბებსა სჩხვლევტენ,
 თავსა და პირში,
 კისერში სცემენ.

შვილები

მშშ, წეროს მოკვლა
 ცოდვა ყოფილა,
 როგორც გვიამბე,
 დედაე, შენ დღესა?

დედა

თქვენ იცით, ნათქვამს
 როგორც გაიგებთ.
 მხოლოდ გახსოვდეთ
 ნათქვამი ესა;
 ჩემო შვილებო,
 ჩემო ტყბილებო,
 აგშორდეთ ტანჯვა,
 აგშორდეთ კვნესა!

ვაჟა-ფშაველა





მწუხარების ტყე

(სერბიული ზღაპარი)



ყვდიადით იყო მოცული ყოველივე ეს წყვდიადი რალაც მტრულის თვალით შეჭყურებდა ყოველსავე. ტყის განაპირას იდგა ერთი ქაბუკი. მის გარშემო მყოფი ხეები, ჯაგები თუ ბუჩქები, თიხქო აწვდიდნენ თავიანთ გრძელ ხელებს და სკდილობდნენ ჩაებლუჯნათ ქაბუკი და არსად გაეშვათ. ამ დროს ქაბუკს თვალ-წინ წარმოუდგა ყოველ მხრივ მიმავალი ქვიშიანი ბილიკები. ყმაწვილი კაცი დაფიქრდა და გონების თვა-

ლით დააქკერდა ბილიკებს: არ იცოდა, საიან წასულიყო, რომელი მიმართულების ბილიკი აერჩია. უეცრად რალაც უხილავმა ძალამ ჩასქიდა თავისი მძლავრა ხელი და დაბუქულის თვალებით, ღრმა ფიქრებში გართული წაიყვანა წინ. მანამდის ვერ შეამჩნია, რომ უფრო ხშარსა და გაუვალს ტყეში მიდიოდა, სანამ ფეხი არ წამოჰკრა ხის ჯირკსა და ძირს არ დაეცა. მხოლოდ ახლა შეიტყო, რომ ასცუნენია გზას და შესულა სადღაც დიდს ატეხილ ტყეშა.

ქაბუკი უცბად წამოხტა და გაიქცა, გადაირბინა ერთი ბილიკიდან მეორეზედ, მაგრამ სულ უნაყოფო, უშედეგო იყო მისი სისწრაფე და სირბილი: ბევრი იტრაალა, მაგრამ



მაინც ერთსა და იმავე ადგილს ვერ გასცილდა. ქაბუკმა დაიწყო
 ლაღა კიდევ, თან შიშობილმაც შეაწუხა. სასოწარკვეთილგ-
 ბით თვალგებზედ ხელი მიიფარა და ქვეთინი დაიწყო.

როცა ქაბუკმა თვალები გაახილა, მის წინ იდგა სამი
 უცნობი კაცი. მათს დანახვანზედ ქაბუკი შეშინებული აკან-
 კალდა. პირველს ამ უცნობთაგანს ეცვა ძვირფას ოქრო-მკე-
 დით ნაქარგი სამოსელი და მისი ხმალი შემკული იყო სხვა
 და სხვა ძვირფასის თვლებით, მეორეს ეცვა წითელ სარტყე-
 ლიანი, შავი ტანისამოსი, მესამეს კი — უბრალო ლურჯი ხა-
 ლათი, ტყავის უბრალო ქაპრით შემორტყმული და ხელში
 ეჭირა გაალმასებული დიდი ნაჯახი.

— რას ეძებ აქ? — შეეკითხნენ ერთმანეთს სამივე უცნობი.

— ვკვდები, — უპასუხა მოქანცულ-მოშვებულმა ქაბუკ-
 მამ, — შემობრალეთ.

— რას თხოულობ ჩვენგან, რა დახმარება გინდა, რო-
 გორ უნდა შეგვბრალოთ?

— ამ ტყიდან გამიყვანეთ, მხოლოდ რაც შეიძლება მა-
 ლე, სხვას არაფერსა გთხოვთ.

— მაშ, აირჩიე ჩვენ შორის რომელიც გინდა და ის გა-
 გიყვანს.

— ქაბუკს კარგად ჩაცმული კაცი მოეწონა, ის ირჩია
 და დაიძახა:

— მაშ, შენ მიჩვენებხარ.

ძვირფასად ჩაცმულმა კაცმა სიამოვნებით გაუღიმა და გა-
 უწოდა ხელი. დანარჩენი ორი უცნობი-კი გაპქრნენ სადღაც,
 ღამის წყვდიადმა ჩანთქა ორივე.

ქაბუკი და მისი არჩეული თანამგზავრი გაუდგნენ გზას.
 იარეს ფეხ-აჩქარებით, იარეს დიღხანს, მაგრამ გზას დასასრუ-
 ლი მაინც არ მიეცა.

— საშინლად დავიღალე, — უთხრა ქაბუკმა, — აღარ შე-
 მიძლიან მეტი სიარული.



— მართალია, მართალი, მანძილი დიდია გასაღწეველი და შენ-კი სიარულში სუსტი ყოფილხარ; მეც აღარ შემიძლიან შენი წინამძღოლობა და არც შენი აქედან გაყვანა, ამიტომ, თუმცა გტოვებ, მაგრამ სამაგიეროდ გაძლევ იმ ამ ხმალს; რამდენსაზე წამს შემდეგ აქ გაივლის მგზავრი; წაართვი ცხენი, შეგეკ ზედ და მძლე, სულ მალე, გახვალ ამ ტყიდან.

— შენ თითონ ვინა ხარ, რომ ამგვარ რჩევას მაძლევ?

— მე ვარ შეცოდება ამა ქვეყნისა.

— იქით დამეკარგე, გამშორდი! — შეპყვირა ქაბუკმა და პირქვე დაეცა დედამიწაზედ. პასუხად მოესმა გულ-შემზარავი, სატანისებური ხარხარი; განქრა ყოველივე და ქაბუკი დარჩა ისევ მარტო. როცა გაახილა თვალები, მის წინ გაჩნდნენ წინანდელნი უცნობნი.

— რას აკეთებ აქ? — ჰკითხეს იმათა.

— ვკვდები, ვკვდები, შემიბრალეთ!

— გვიღებარ, რითი შეგვიძლია დაგებმაროთ?

— გამიყვანეთ, გამიყვანეთ, თუ შეგიძლიანთ, საჩქაროდ ამ საშიშარ ტყიდან.

— ამოიჩჩიე ერთი ჩვენგანი და ის გიჩვენებს გზას და გაგიყვანს ამ ტყიდან.

ქაბუკი დაფიქრდა, შემდეგ მიმართა შეეტანისამოსიან უცნობს და უთხრა:

— შენ ამირჩევიხარ.

შაეტანისამოსიანმა უცნობმა ხმა ამოუღებლივ გაუწოდა ხელი და წაიყვანა.

დიდიხნის მგზავრობის შემდეგ, მიადგნენ ერთ უფსკრულს, საიდგანაც მოისმოდა დაუსრულებელი კენესა და გმინვა.

— გეფიცებით, აღარ შემიძლიან, აღარ შემწვეს ძალა, რომ კიდევ ვიარო! — ამოიკენესა ქაბუკმა.

— აი, სწორედ ამიტომ მოგიყვანე აქ, — უპასუხა უცნობმა, — მხოლოდ ამ გზით შეგიძლია გახვიდე ტყიდან. აქ არის,



ამ უფსკრულში სამთავრო სიკვდილისა, რომელიც გაგანთავსებდა უფლებს ყოველ ტანჯვა-წამებისაგან.

— ვაი ჩემს თავს! — შეჭყვირა კაბუკმა; — შენ ვილა ხარ, რომ ამისთანა რჩევას მაძლევ?

— მე ვარ სასოწარკვეთილება.

— დაიკარგე აქედან! — შეჭყვირა კაბუკმა, საშინლად აღეღვებულმა და ისევ პირქვე დაეცა დედამიწაზე.

როცა მესამედ აახილა თვალები, მის წინ იდგა მესამე უცნობი, ლურჯ-ხალათიანი, დიდის ნაჯახით ხელში. მან უთხრა კაბუკს.

— მე გამომყვე, შეილო! მართალია, შენი სავალი გზა ძრიელ გრძელიც არის და ძნელიც, მაგრამ, ხომ გაგიგონია, ღმერთი მხოლოდ იმათ უწევს დახმარებას, ვისაც მოთმინება აქვს.

კაბუკმა, თანხმობის ნიშნად, ხელი გაუწოდა და უცნობიც გაუძღვა წინ; გაუდგნენ გზას; თავის დიდის ნაჯახით უცნობი უწალდაჭდა გზას, სჭრიდა ჯაგებს და დიდ ხეებს.

— აიღე და წამოიკიდე მხარზე ეს დიდი ხის კუნძი, — უბრძანა უცნობმა.

— კაბუკი დაემორჩილა ბრძანებას, თუმცა სიმშლილი და დაქანცულობა ძალზე სტანჯავდა. რაც უფრო წინ მიდიოდნენ, მით უფრო ახლოს ჰხედავდნენ ცხოველ-მყოფელ სინათლეს; აღარც ტყე იყო ახლა ისეთი ხშირი, როგორც აქამდის და მძიმე ტვირთიც უმსუბუქდებოდა, რადგანაც წინ მიაჭროლებდა ფრთა-გაშლილი იმედი.

კარგა სიარულს შემდეგ, მიაღწიეს ბოლოს ტყის ნაპირს და აღტაცებულ კაბუკის თვალს წარმოუდგა დიდის მზის სხივებით გაბრწყინებულ-გაშუქებული და ნამით დაპყრებული დიდი მინდორი.

— მივალწიეთ ჩვენს საწადელს, — უთხრა კაბუკს უცნობმა. — ტყე, რომელიც შენ გამოიარე, „მწუხარების ტყე“


იყო... ეს არასოდეს არ დაივიწყო; ახლა-კი ჩამოიღე და ჩაიკრახე დასდე ვე შენი ტვირთი.

კაბუკმაღ დააგორა ძირს ხის კუნძი და ჰკითხა:

— ვინა ხარ შენ, კეთილო მეგობარო, რომ ასეთ ქე-
შმარიტ გზაზე დამაყენე და გამომიყვანე იმ მწუხარების ტყი-
დან.

— მე ვარ შრომა, დაუშრეტელი მხნეობა!—უპასუხა
უცნობმა და გაჰკრა კიდეც.

ელ. ჭიჭინაძე.





ალექსანდრე გარსევანის ძე

ჭავჭავაძე.



თავადი ალექსანდრე გარსევანის ძე ჭავჭავაძე გამოჩენილი მოღვაწე და მწერალი იყო. ჩამომავლობით ეკუთვნოდა დიდებულს გვარს, რომელსაც მრავალნაირი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს წინაშე. ალექსანდრეს მამა, გარსევან ჭავჭავაძე, ჩვენის უკანასკნელ მეფეების—ირაკლისა და გიორგის—მინისტრი იყო რუსეთის სახელმწიფოს კარზე. იმ დროს, როდესაც გარსევან ჭავ-

ჭავაძე სცხოვრობდა პეტერბურგს, საქართველოს საქმეების გამო, დაებადა 1787 წელს ვაჟი, რომელსაც სახელიად დაარქვა ალექსანდრე. მის წათლიათ თვით რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე მეორე იყო და დაბადების დღიდანვე დანიშნულ იქმნა მემკვიდრეობით ირაკლი მეფის მანდატურთ უზუცესად.*) რვა წლისა რომ შეიქმნა, ალექსანდრე შიბარეს პეტერბურგის საუკეთესო პანსიონში და აქ დაჰყო ოთხი წელიწადი (1795—1799). შემდეგ, რადგან გარსევან ჭავჭავაძე წამოვიდა ტფილისში გიორგი მეფესთან მოსალაპარაკებლად, თორმეტის წლის ალექსანდრეც თან წამოიყვანა. ალექსანდრემ ახლა აქ განაგრძო თავისი სწავლა მამის ზედამხედველობის ქვეშ. ტფილისში ახალგაზდა თავადი დაუახლოვდა ადგილობრივ მაღალს წოდებას და, როცა 1804 წელს მოჰხდა საქართველოში რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ ამბოხება, თექვსმეტის წლის ალექსანდრე ჭავჭავაძემ მიიღო მონაწილეობა ამ მოძრაობაში, თუმცა ხელმწიფის უმაღლესის ბრძა-

*) შინაგან საქმეთა მინისტრი.



ნებით, გარსევან ქავჭავაძის მოღვაწეობის დასაჯილდოებლად, უკვე კამერპაეად, რუსეთის სასახლის კაცად, იყო დანიშნული. ამბოხების აზრი იყო საქართველოში მეფობის აღდგენა და ბაგრატიონების კვლავ ტახტზე აყვანა.

მოდრაობის მოთავე იყო ფარნაოზ ბატონიშვილი, ირაკლი მეფის ძე. აჯანყების დროში აფრიალდა ინანურთან. ალექსანდრე ქავჭავაძე გაიპარა სახლიდან და შეუერთდა მეამბოხეებს. მოძრაობა ჩქარა ჩაანელეს. ფარნაოზ ბატონიშვილი დაამარცხეს და დაატყვევეს. ბატონიშვილთან შეიპყრეს ახალგაზდა ალექსანდრე ქავჭავაძეც. საქართველოს მთავარმართებელმა ციციანოვმა დანიშნა ფარული გამოძიება ამბოხების მოთავეთა აღმოსაჩენად. საქმე გამოარკვეეს. დამნაშავეებს სასჯელი მიუსაჯეს. ალექსანდრე ქავჭავაძის შესახებ 14 აპრილს 1805 წ. უმაღლესი რესკრიპტი მოუვიდა ციციანოვს შემდეგის შინაარსისა: შინაგან საქმეთა მინისტრმა წარმოამიდგინა მე თქვენ მიერ წარმოგზავნილი წერილი დეისტვრტელი სტატსკი სოვეტნიკის თავად გარსევან ქავჭავაძის შვილის შესახებ, რომელიც შეუერთდა ბატონიშვილს ფარნაოზს და მასთან ერთად შეპყრობილ იქმნა. მივიღეთ რა მხედველობაში თხოვნა მამისა, წინანდელის ღვაწლით გამოჩენილისა, და დანაშაული მისი შვილისა, ნაკისრები ახალგაზდობით და არა წინასწარ განზრახულ აზრით, კეთილად ვცანით შევზღუდოთ მისი დასჯა სამი წლით ტამბოვს გადასახლებით.⁴ ამ ვადის შემდეგ ალექსანდრე ქავჭავაძეს მგორედ უნდა ეფიცა რუსეთის ხელმწიფის ერთგულებაზე და სამსახურში კარგის ყოფა-ქცევით გამოესყიდნა თავისი საქციელი. ამ მბრძანების ძალით, 30 გიორგობისთვის ალექსანდრე ქავჭავაძე, კამერპაეი უმაღლესის ჯარისა, ერთის აფიცერის და ორის ყაზახის ზედამხედველობით, გაიგზავნა ქალაქ გიორგიევიდან ტამბოვს, სადაც იძულებული იქმნა გადასახლებულიყო აგრედვე მამა მისი გარსევან. ტამბოვში ალექსანდრე ქავჭავაძე არ დარჩენილა; იმავე 1805 წ., უმაღლესის



ბრძანებით, მიიღეს პეტერბურგის ვაჟების კორპუსში წლის შემდეგ (1809 წ.), იგი პოდპორუჩიკად გამოვიდა ამ სასწავლებლიდან ლეიბგვარდიის გუსარების პოლკში. გავიდა ამის შემდეგ კიდევ ორი წელიწადი და 1811 წ. დაბრუნდა ალექსანდრე სამშობლოში პორუჩიკის ჩინით და მთავარმართებლის, მარკიზ პაულიჩის, აღიუტანტად.

სამშობლოში ალექსანდრე ქავჭავაძემ გამოიჩინა დიდი ნიჭი, რაიცა დაათვა პაულიჩმა. ახალგაზდა აფიცერს ბევრჯერ დაავალა რთული და მნიშვნელოვანი საქმე, მაგალითად: 1811 წ. გაიგზავნა ერევანს ცნობების გამოსარკვევად გენერალ ლისანევიჩის ექსპედიციის შესახებ სპარსელთა წინააღმდეგ. 1812 წ. მოლაპარაკება ჰქონდა მუსტაფა შირვანელის ხანთან. ამავე წელს მარტში ქავჭავაძემ მონაწილეობა მიიღო პაულიჩთან კახეთის ამბოხების დამშვიდებაში და სოფ. ჩუმლაყთან ფეხში დაიჭრა. ამის შემდეგ დასტოვა საქართველო და გადასახლდა რუსეთში, სადაც თავი იჩინა რუსების და ფრანგების ჯარში 1812—1814 წელთა განმავლობაში. ამ დროს კარგად შეისწავლა გერმანული და ფრანგული ენები. იყო გენერალ ბარკლაი დეტოლის აღიუტანტად პარიზის აღების ეამს და 1817 წ. პოლკოვნიკად დაბრუნდა ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკში, რომელიც იდგა კახეთს, ქავჭავაძეების საგვარეულო მამულს, წინანდალის ახლოს. თავის სოფელში ევროპიული ცხოვრება დაიწყო და შეიქმნა შემაერთებელ ხიდად რუსთა და ქართველთა შორის. გამოჩენილი თავის ჩამომავლობით და შეიარაღებული საფუძვლიანის განათლებით, იგი პატივცემული იყო ორივე მოპირდაპირეთაგან. 1821 წ. დაინიშნა მთავარ-მართებლის ერმოლოვის მიერ ნიჟეგოროდის პოლკის კომანდირად და ამ თანამდებობას ასრულებდა 1822 წლამდე. ამ დროს ალექსანდრემ მიიღო მონაწილეობა ქარვლეების დამშვიდებაში, რომელთა შორის დაიწყო მოძრაობა რუსეთის თათართან ომის მოლოდინით საბერძნეთის საქმეების გამო. ქავჭავაძემ გაიმარჯვა სოფ. კა-



ტებთან და, დაბრუნდა რაექსპედიციიდან, ჯილდოს მატარებელი "შეურაცხყოფა" მიაცენეს. ერმოლოვის თხოვნით, პეტერბურგიდან დანიშნეს შაბესკის, ზოლკის კამანდირად. მთავარ-მართებლის მოხსენებით, ჭავჭავაძეს არ ეკუთვნოდა კამანდირობა, რადგან იგი ახალგაზდა იყო წლოვანობითაც და სამსახურითაც. ამიტომ გულნაკლული ალექსანდრე გადავიდა გრუზინსკი გრენადერის პოლკში 1822 წ. და, ერთის წლის შემდეგ, დაინება სამხედრო სამსახურს თავი. დასაბლდა. ტფილისს და დაინიშნა ერმოლოვთან საგანგებო მოხელედ. 1828 წ. მთავარ-მართებელმა პასკევიჩმა დანიშნა გენერალ მაიორის ჩინით უფროსად და კამანდირად სომხეთის (ერევნის და ნახჩევანის) ოლქისა. ამ თანამდებობაში ალექსანდრე ჭავჭავაძემ გამოიჩინა ადმინისტრატული ნიჭი და მოიხვეჭა დიდი სახელი გაბედულის დაცემით ბაიბუხეთის საფაშოზე, რომელიც დაიპირა ჯარით აგვისტოში 1828 წ.; პასკევიჩმა მიიღო რაკნობა ამ გამარჯვებისა, დააწერა მოხსენებას: ყოჩაღ ჭავჭავაძე! და გამოითხოვა ხელმწიფისგან ანნა პირველის ხარისხის ორდენით მისი დაჯილდოება.

ალექსანდრე ჭავჭავაძეს აფასებდნენ, როგორც შესანიშნავს მმართველს და სთვლიდნენ საჭირო კაცად სხვა და სხვა აღელვების დასაწყენარებლად. ამიტომ ისევ პასკევიჩის მოხელედ გადმოიყვანეს და ავალებდნენ სხვა და სხვა საქმეს. 1829 წ. ქარელეების მამასახლისები მოდრიკა, აღელვებული თელავის მაზრა დაამშვიდა, რომელსაც მილიციის მოთხოვნა არ ექაშნიკა. 1830 წ. ხევსურთა საჩივარის გამრჩეველ კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნა. 1832 წ. მიანდეს ჯარით კახეთის დაცვა, რადგან მოელოდნენ ლეკების ბელადის, ჰამზადბეგის მიერ განზრახულს დაცემას.

1832 წ. გამოძეღვინდა, თავად იესე ფალავანდიშვილის მოხსენებით, ქართველ თავადაზნაურობის შეთქმულება, რომლის აზრი იყო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა. ამ შეთქმულებაში მონაწილეობა დააბრალეს ალექსანდრე ჭავ-



ქართული
აქადემია

ქავაძესაც, თუმცა იგი ამის შესახებ გამოძიების უარს ამბობდა. გამოძიებამ-კი დაამტკიცა, რომ იგი ამ საქმეში გაანდო ლუარსაბ ორბელიანმა. გამოიჩვენა, რომ ალექსანდრემ არ მოისურვა შეთქმულებაში მონაწილეობის მიღება და სხვებსაც აგონებდა წადილის უსაფუძვლოებას. თუმცა დანაშაული არ მიუძღოდა, მაინც სასჯელი არ ასცდა, რადგან იცოდა შეთქმულების განზრახვა, არ გასცა შეთქმულნი და დროზე მთავრობას არ შეატყობინა. მთავარ-მართებელმა როზენმა ქავკავაძე დამნაშავეთა მესამე რიგში მოაქცია და სამხედრო მინისტრს ჩერნიშოვს სთხოვა მისი ესტრახანში გაგზავნა ან სამართალში მიცემა და შემდეგ, სამსახურის მიხედვით, დანაშაულის პატიება. ბარონ როზენის მოხსენების თანახმად, 1833 წ. უმაღლესის ბრძანებით ქავკავაძე გაიგზავნა ტამბოვს, სადაც გაგზავნილი იყო 1805 წ. ერთის წლის შემდეგ, იმპერატორმა ნიკოლოზმა მიიწვია პეტერბურგს, პატივით მიიღო და დააბრუნა ტფილისში.

საქართველოში ალექსანდრე კვლავ გამოჩნდა საზოგადო სარბიელზე 1838 წ., როცა ქირიანობა მძვინვარებდა ახალციხის ოლქში. ქავკავაძე დანიშნეს კომისიის უფროსად, რომელსაც მიანდეს სენის გავრცელებისაგან დაცვა. 1843 წ. დაინიშნა პოსტის უფროსად და ამავე წელს მისცეს შამილის წინააღმდეგ მომკმედ კახელების მილიციის კომანდირობა.

ჯერ ისევ ჯან-ლონით სავსე ა. ქავკავაძე მოულოდნელად გამოესალმა წუთის სოფელს: მისი ეტლი გაიტაცეს ცხენებმა. ალექსანდრე გადმოვარდა და გონება დაეკარგა. 5 ნოემბერს 1846 წ. იგი გარდაიცვალა.

საქართველომ დაჰკარგა გამოჩენილი მოღვაწე და მგოსანი. ალექსანდრე ქავკავაძე გაიზარდა იმ დროს, როდესაც სპარსეთის მწერლობას ჯერ კიდევ გავლენა არ დაეკარგა და ამასთანავე ფეხს იკიდებდა ევროპიული განათლება. საფრანგეთის ფილოსოფოსის ვოლტერის ექვიანობა, სკეპტიციზმი და სპარსელების პოეტების გრძნობიერება ერთნაირად შეი-




სისხლბორცა ნიკიერმა ალექსანდრემ. იმისი ლექსებზე მკითხველს გაისმის სუფრაზე და მთვარიან ღამეს ვის არ გაუგონია სიცოცხლით სავსე სიმღერა „ლოთებო ნეტავი ჩვენა“, ვინ არ დამტკბარა იმის ლექსით „ვაი სოფელს“, ვის გულს არ მოჰხვედრია მისი საუცხოვო სუფრათები „ვოჭჩის ტბა“.

გარდა ამისა, ალექსანდრემ სახელი მოიხვეჭა, როგორც საუკეთესო ნაწარმოებთა მთარგმნელმა. იმის კალამს ეკუთვნის ნათარგმნი სპარსეთის მწერლებისა: საადის და ჰაფიზის ლექსებისა, რუსულიდან ჰუშკინის ნაწარმოებისა, გერმანულით გეტესი. სთარგმნა აგრედვე ფრანგულით ტრაგედია „ალზირა“ ვოლტერისა, „ფედრა“ რასინისა, „ცინნა“ კორნელია და რამდენიმე ლექსი ჰიუგოსი. იმასვე ეკუთვნის აქამდის დაუბეჭდავი მოკლე ისტორიული განხილვა საქართველოსი და მისი მდგომარეობისა 1801—1831 წწ., სადაც აღნიშნულია სხვა და სხვა დროის აღწევების მიზეზნი. იმისი ქალი ნინო ჰყავდა კოლად რუსის მწერალს ალექსანდრე გრიბოედოვს. მისი მწერლობის გარჩევა ცალკე განხილვას მოითხოვს.

ა. ხახანაშვილი.



იხევეთ მოკლედ



მარკოზ ტვენი

(1835—1910)

1835 წელს, ამერიკის ერთ-ერთს შტატში, სახელდობრ ფლორიდის შტატში დაიბადა შესანიშნავი მწერალი სამუელ



კლემენსი, ცნობილი მარკოზ ტვენის სახელით. მარკოზ ტვენი, ის კაცია, რომელმაც დასწერა ბევრი საყმაწვილო წიგნი, სხვათა შორის, „ტომის თავგადასავალი“, „ტახტის მემკვიდრე და მთხოვარა.“ პირველ წიგნში აწერილია თვითონ ტვენის ბავშვობა; ამ წიგნს კარგად იცნობენ ჩვენის ჟურნალის მკითხველები. არა ერთხელ გაუცინიათ უთუოდ „ტომის“ ამბავის კითხვის დროს.

საოცარია მარკოზ ტვენის ცხოვრება. 13 წლისა უკვე რედაქტორი იყო ერთ ყოველ დღიურ გაზეთისა. 15 წლის ტვენი ასოთ-ამწყობია. მაგრამ ამ ხელობას მალე თავი დაანება და მებღვაურად გახდა. გემზე ცხოვრებამ ისე გაიტაცა, რომ ხშირად რამდენიმე თვე გემზე გაუტარებია. ამ დროს განმავლობაში რასაც ჰხედავს, ისმენს, ვისაც ხვდება ტვენი, ყოველსავე ამას აწერს. არასოდეს არ სტოვებს თავის საყვარელ საქმეს—მწერლობას. ოცის წლის ტვენი უკვე გამოჩენილი მწერალია ამერიკაში. მოუსვენარ, სიცოცხლით სავსე ტვენს არ აკმაყოფილებს მოგზაურობა მდინარეზე გემით, ახლა იმას სურს ხმელეთზე მოგზაურობა, უნდა პირის-პირ ხანხოს თვალ-გადუწვდენელი ველი, მინდვრები, ტყეები, უდაბნოები. უნდა შეხედეს ველურებს, ნახოს ანტილოპები, გარეული კამეჩები, მონადირეები. უნდა თვითონ შეჰხედეს ყაჩაღებს. ერთ ამხანაგთან ერთად ტვენი გაემგზავრა მეტად ნევადაში, სადაც მისი ძმა დანიშნული იყო რაღაც მოხელედ. ტვენი დიდ ხანს არ რჩება ძმასთან. კვლავ გაემგზავრა ამხანაგთან ერთად. ორთავენი გაჩერდნენ ერთ გორასთან. მთელი თვე დაჰყვეს აქ, სანამ ცეცხლმა არ გაანადგურა მათი კარავი. ამ დროს არ იყო ისეთი ამერიკელი,



სწერს ტვენი, რომელიც არ ოცნებობდა ოქროს მთების პოენისათვის, და რომელიც არ წასულიყო ოქროს საძებნელად. ტვენიც გაიტაცა ამ ოცნებამ. იშოვნა ორი ამხანაგი და მათთან ერთად წავიდა ოქროს მადნების საძებნელად. ერთი თვე იარეს ჩვენმა გმირებმა, ვიდრე მიაღწევდნენ დანიშნულ ადგილს, სადაც ოქრო ეგულებოდათ. იქ კი ვერა ნახეს რა და გალატაკებულნი, შიშველ-ტიტველნი ისე უკანვე უნდა დაბრუნებულიყვნენ. მაგრამ ჰამა-სმა იყო საჭირო და ამიტომაც გზაში ისინი მუშაობდნენ, როგორც უბრალო მიწის შუშები და, იკვებებოდნენ. ხშირად, როცა სამუშაოს ვერ შოულობდნენ, თევზს იჭერდნენ მდინარეში. რამდენისავე ხნის შემდეგ ტვენი უკვე რედაქტორია ერთ დიდ გაზეთისა.

ასეთია ცხოვრება ამ დიდებულის მწერლისა რა. არ უნახავს, რა არ გამოუცდია! რაც კი უსწავლია და შეუძენია უსწავლია და შეუძენია არა კაბინეტში, არამედ მოგზაურობით, ტყეში ყოფნით, უდაბნოში ხეტიალით, მინდორში ღამეების თევით. ვინ არ უნახავს? ამიტომაც იცნობს ტვენი ადამიანს, ბუნებას: ამიტომაც პატივსა სცემს გამბედავსა, მხნესა და უშიშარ ადამიანს; ადამიანს, რომელსაც არ ეშინიან დამოუკიდებელის ცხოვრებისა, ლუკმა-პურისათვის ბრძოლისა. იმის იმედი და სიმდიდრეა მისი სალი ჯანი, გამრჯე ხელი, კეთილი გული. ტვენს გატაცებით უყვარს ბუნება. ყოველგან ჰპოვებს თვალის წარმტაც სურათს. ტვენს უყვარს ყოველივე და ეს არის სიყვარული თავისუფალის ადამიანისა, რომელსაც არაფერი არა აშინებს, არ აბრკოლებს. ტვენი არა მარტო ამერიკელი მწერალია, ის ყველა სხვა ერსაც ეკუთვ-

ნის. მისი ნაწერები გადათარგმნილია ყველა ევროპიულ ენაში და ამ შესანიშნავს მწერალს კარგად იცნობენ და უყვართ კიდევ მისი ნაწერები ატლანდიის ოკეანის აქეთს შარესადა და იქითასადა.

75 წ. მარკოზ ტენი გარდაიცვალა ამერიკაში, ამრამდენიმე თვის წინეთ, მაგრამ გაივლის ბევრი სამოცდა თხუთმეტი წელი და ხსოვნა მისი არ გაჰქრება ქვეყანაზედ.

ა. ფ.





ქურნალ-გაზეთების ისტორიიდან.



ოდის იქნება ახალი ნომერი ქურნალისა? — ხშირად მიმართავდი, უკვე-ელია, მკითხველო, ყოველ თვის დამლევს ვინმე შენს მახლობელს; დიდის ხალისით და მოუთმენლად ელოდები ქურნალ „ნაკადული“-ს ახალ ნომრის გამოსვლას. თუ დაგვიანდა ქურნალი, დიდ უსიამოვნებას და უკმაყოფილებას განიცდი.

მაგრამ ერთი უნდა გკითხო, პატარავ, იცი რამე ამ საყვარელ საგნის თავ-გადასაყვალისა, მის აღორძინებისა და თან-და-თანის განვითარების ისტორიისა?

არა მგონია. აი, მაშ, ყური დამიგდე და მე გიაზობ ცოტა რამეს.

სიტყვა ქურნალი, ჩემო მეგობარო, ფრანგულია და, პირდაპირ რომ გადმოვთარგმნოთ, ნიშნავს დღიურს, ესე იგი დღე-და-დღე, თან-და-თან აღწერას და აღწესებას რაიმე შემთხვევისა და მოვლენისას, სამეცნიერო ხასიათისა იქნება ეს შემთხვევა და მოვლენა, სალიტერატურო, საზოგადო თუ სხვა. ქურნალის ნიშნობლივი თვისება ის არის, პირველ ყოვლისა, რომ ქურნალი გამოდის ყოველ თვიურად ან ყოველ კვირე-

ულად, ან ორ-სამ თვეში ერთხელ. *) მეორე თვისება კი ის არის, რომ სივრცით, თაბახთა რაოდენობით, ქურნალი, კოტად თუ ბევრად, მოზრდილი წიგნია.

ქურნალი პირველად გაჩნდა ვენეციაში მეთექვსმეტე საუკუნის გასულს; მერე იქიდან გავრცელდა ევროპის სხვა-და სხვა სახელმწიფოშიაც. დღეს საფრანგეთსა, ინგლისსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში ასობით და ათასობით გამოდის ქურნალები. რუსეთში პირველი ქურნალი გამოვიდა მე-XVIII საუკუნეში (1756 წ.) ეკატერინე დიდის მეფობის დროს, ხოლო ჩვენი მე-XIX საუკუნის დამდეგს, როდესაც საქართველო რუსეთთან შეერთებული იყო.

დასავლეთ ევროპაში ქურნალებს დიდ-ძალი ხელის-მომწერლები ჰყავს. მარტო ინგლისში, სწავლულთა (სტატისტიკოსთა) გამოანგარიშებით, თვითოეულ ქურნალს ორთა შუა რიცხვით ოთხმოციდან ასოთხმოცდაათიათასამდე ხელის-მომწერელი ჰყავს. ჩვენი ქვეყანა და რუსეთი ამ მხრივ უკან არიან ჩამორჩენილნი და იშვიათია აქ იმისთანა ქურნალი, რომელსაც ორი-სამი, ათასი ხელის-მომწერელი ჰყავდეს.

ეგრედ წოდებული „საყმაწვილო ქურნალები“ კიდევ ცალკე ჯგუფია. ეს ქურნალები მოზარდ ახალგაზრდობის განვითარების და აღზრდის საქმეს ემსახურება. ჩვენი „ნაკადული“ ამ ქურნალთა ჯგუფს ეკუთვნის.

ქურნალს გარდა, არის აგრეთვე გაზეთი, რომელიც ყოველ დღე დიდ ცალკე ფურცლებად გამოდის გაზეთი ყოველ დღიური გამოცემაა ცალკე სიგაზეთო ფურცლად და შიგ იბეჭდება სხვა-და-სხვა ახალი ამბავი, სხვა-და-სხვა გვარ

*) არის იმისთანა ქურნალებიც, რომელიც თვეში ორჯერ გამოდის, როგორც, მაგალითად, ჩვენი „ნაკადული“ მკირე წლოვანთათვის.



სხვა გვარ სამწუხარო თუ სასიამოვნო შემთხვევისა და გარემოებისა
 ბის აღწერა.

გაზეთიც პირველად მეთექვსმეტე საუკუნეში გაჩნდა.
 მანამდე გაზეთის ხსენებაც არსად იყო.

გაზეთის გამოცემას მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს დი-
 დად ხელი შეუწყო საბეჭდადმა მანქანამ, რომელიც გუტენ-
 ბერგმა მოიგონა და ახალმა ქვეყანამ—ამერიკამ, რომელიც
 ალმოაჩინა (1496 წ.) მოგზაურმა კოლუმბმა; კოლუმბმა მის-
 წერა წერილი ესპანიის მეფის ხაზინადარს რაფაელ სანშესის,
 ახალი ქვეყანა აღმოეჩინეო და აი ეს წერილი გადიქცა პირ-
 ველ გაზეთად. წერილი კოლუმბისა ყველა ევროპიულ ენაზე
 იქმნა გადათარგმნილი და ათასობით ვრცელდებოდა საზოგა-
 დოებაში.

თვით სახელწოდება „გაზეთი“ აი როგორ წარმოსდგა.

ვენეციის რესპუბლიკაში*) ძველადვე ჩვეულებად იყო,
 რომ ქუჩებში და საჯარო ადგილას გააკრავდნენ ხოლმე და-
 წერილ განცხადებას (Notizie scritte) დღიურ კირ-ვარამზე და
 წაკითხვისათვის თვითოეული მოქალაქე იხდიდა წვდომის ფულს,
 რომელსაც სახელად გაზეთი ერქვა. აი სწორედ აქედან წარ-
 მოსდგა ყოველ დღიურ საბეჭდავ ორგანოს სახელწოდება
 გაზეთი.

მაგრამ გაზეთი პირველ ხანებში იშვიათი იყო და გამო-
 ცემაც ძვირად ჯდებოდა. მაშინ არ იყო არც ტელეგრაფი,
 არც რკინის გზა და არც ფოსტა, რომლებიც აადვილებენ
 ცნობათა გადაცემას. აღუვალების და აღორძინების გზას გა-
 ზეთის საქმე მეთვრამეტე საუკუნეში დაადგა, როდესაც ტე-
 ლეგრაფ-ტელეფონი და ორთქლ-მავალი რკინის გზა მოიგო-
 ნა და შემოიღო კაცობრიობამ.

*) ისეთი სახელწოდება, სადაც თვითონ ხალხი განაგებს თავის ქვეყ-
 ნის საქმეებს.

გაზეთის კითხვა დიდად გავრცელებულია საფრანგულ ინგლისში და ამერიკის შეერთებულ შტატებში. უბრალო სოფლის მუშიდან დაწყებული პირველ მეცნიერამდე და მეფემდე ამ ქვეყნებში ყველა გაზეთის კითხვას ეტანება და უკანასკნელ თავის გროშს ხარჯავს, რომ ყოველ დღე უკლებლივ ახალ-ახალი ამბები შეიტყონ. მარტო პარიზში, საფრანგეთის სატაბტო ქალაქში, ყოველ დღე ათას სამასი სხვა-და-სხვა გაზეთი გამოდის. შეერთებულ შტატებში კიდევ უფრო საარაკოდაა გაზეთის საქმე განვითარებული. იქ ყოველ დღე თორმეტი ათას ხუთასი სხვა-და-სხვა სახელწოდების გაზეთი გამოდის.

პირველი გაზეთი რუსეთში გამოვიდა ორასი, წლის წინად (1703 წ.), მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს, პეტრე დიდის მეფობის დროს. ამ პირველ გაზეთს სახელად „კურანტი“ ერქვა და მისი კითხვის ნება მარტო მეფესა და მის კარის კაცებს (მინისტრებს) ჰქონდათ. იქიბეჭდებოდა ცნობა უცხოელ გაზეთებიდან საომარ წესებისა, სამხედრო დადგენილებისა და ომიანობა-ზავისა. გაზეთი იბეჭდებოდა სლავიანურ ასოებით.

საქართველოში პირველი ქართული ჟურნალი იყო „ცისკარი“, რომელიც სამოცი წლის წინად (1851 წ.) გამოდიოდა ტფილისში ერისთავის რედაქტორობით. დიდად ცნობილი გაზეთი ჩვენში იყო „ივერია“, რომელიც გამოდიოდა ჩვენის დიდებულის მწერლის ილია ჭავჭავაძის ხელმძღვანელობით.

სწავლულნი სცდილან ყველა ძველი გაზეთი და ჟურნალი შთამომავლობისათვის შეენახათ და, თუ ვინმე მოისურვებდა, მისი ცნობის-მოყვარეობა დაეკმაყოფილებინათ.

ოცდაშვიდის წლის წინააღმდეგ (1885 წ.) გერმანიის კლასიციზმის
 ში ოსკარ ფონ ფორკენბერკმა დააფუძნა გაზეთების მუზეუმი,
 სადაც თავი მოუყარა სხვა-და-სხვა ქვეყნის და ერის ძველ
 გაზეთებს და გამოცემებს. იქ შევიძლიანთ ნახოთ ჩვენი ქარ-
 თული ჟურნალ-გაზეთებიც.

ს. ცომაია.





ფუტკარი და მისი ცხოვრება.

წარილი მარხვი.

(უძველნი ბუტკუნჩელა გოგი ვარლამისძეს კიკინაძეს).

(შემდეგი)

მე სულ სხვა ვარ, სულ სხვა ნუშა
 და სხვა გვარად მოღვაწეო:
 ზეცის მუშას შეძახიან,
 არ ვარ შარტო სამიწეო. იაკი.

საფუტკარი ადგილის არჩევა. თაფლის მომცემი მცენარე.



საფუტკარის არჩევას, თუ გვინდა რომ ფუტკარი მგზობაში შემოსავალი მოგვცეს, დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ. ადგილის არჩევა, ვისაც რამდენიმე ძირი სკა ჰყავს, მისთვის სულ ერთია: ის თავის პატარა საფუტკრეს ათავსებს თავის ბალ-ბოსტანში ან ეზოში. სულ სხვა საქმეა, როცა საფუტკრეს საოჯახოდ კი არ ჰმართავენ, არამედ სურთ საქმე ისე დააყენონ, რომ ფუტკარის მოცემულით ივაჭრონ. ისეთი საფუტკრე სამრეწველო საფუტკრეა. მრეწველი მფუტკრე ისე ხარჯს არ გასწევს, საფუტკრეს არ მოაწყობს, თუ წინ და წინ ადგილმდებარეობა არ გაიცნო. საფუტკარის უმთავრესი ღირსება არის სიახლოვე სათაფლო მცენარეებისა. რაც უფრო ახლოა თაფლის მომცემი მცენარეები საფუტკრეზე, ფუტკარიც იმ-



დენად მეტს თაფლს შეიგროვებს. მართალია, ფუტკრები კირვების დროს საშოვარზე შვიდ ვერსზედაც მიდიან, მაგრამ თქმა არ უნდა, თუ საფუტკრეს ირგვლივ არტყია უფრო ახლო ნაყოფის მომცემი მცენარეები, მით უკეთესია ყველაზე უხვ მოსავალს იძლევა ულრანი ტყე, შემდეგ ბალახით შემოსილი მინდორი. მით უშეტეს თუ ამ მინდორში ითვისება თაფლის მომცემი სამეურნეო მცენარენი, მაგალითად, სვია, ქერი, იონჯა, სამყურა და სხვა. ეს მცენარენი ორ მაგ სარგებლობას იძლევიან; ფუტკრები ყვავილით სარგებლობენ, ადამიანები კიღევ—მცენარით.

კარგია აგრედვე, საფუტკრის ახლო თუ იქნება ხეხილის ბაღი.

საფუტკრე უნდა იყოს მყუდრო, მშრალ, უქარო ადგილას, ახლო უნდა ჩამოუდიოდეს რუ ან პატარა მდინარე. არ არის კარგი ტბისა და დიდის მდინარის ახლო საფუტკრის გამართვა, რადგანაც ერთშიც და მეორეშიც ბევრი მუშა ფუტკარი დაიხრჩობა.

კარგია, თუ საფუტკრეს ცოცხალ ლობეს შემოავლებთ მეტადრე ისეთ მცენარეებისას, რომლებიც დაიფარვენ ქარისაგან და ამავე დროს კიღევ ჰყვავიან.

სანამ საფუტკრეში სკებს დაედგამდეთ, გვემაზე გზებზე უნდა გაიყვანოთ, სკები რიგზე უნდა დავამწყრივოთ, საფრენი აღმოსავლეთისაკენ დაუქიროთ. სკები რამდენსამე ნაბიჯზედ დავაშოროთ. კარგი იქნება, თუ სკები სხვა და სხვა ფერით იქნება შეღებილი. სკებსა და სკებს შუა 2—3 საყენზე უნდა დავრგოთ ხეხილი. ეს იმიითია კარგი, რომ სკას კიღევ მოუჩრდილებს და ადრე გაზაფხულზე საშოვარსაც მიაწოდებს. ერთ საფუტკრეში ასზე მეტი სკა არასოდეს არ უნდა დავდგათ — შეიძლება მეორე საფუტკრე 3—4 ვერსით დავაშოროთ და იქ გავმართოთ. ეს იმ შემთხვევაში, თუ საფუტკრეს უხვად



აკრავს ბლომად მიმცემი სათაფლო ნექტარისა, თუბრალოდ მისი შვიძღება ერთ ადგილას არც ასი დაიდგას.

ახლა, მგონია, მეტი არ იქნება ჩამოვთვალოთ ის მცენარეები, რომელიც იძლევა თაფლს.

ცაცხვი იძლევა უხვად ძლიერ მშვენიერ გემოვნებიან-სურნელოვან სამკურნალო თეთრ თაფლს.

აკაცია (ეკლის ხე, ზოგი ლობიოს ხესაც ეძახის). აკაცია არის თეთრი და ყვითელი. ორივე მშვენიერ თაფლს იძლევა და უხვადაც. ყვავის სწორედ მშვენიერ დროს, ესე იგი იმ დროს, როცა ფუტკრები ყრისთვის ემზადებიან. არის კიდევ ერთგვარი აკაციის ჯიში, რომელსაც „მუდამ ყვავილას“ ეძახიან. ძლიერ კარგია ეზოს დისამშვენებლადაც, რადგან აპრილიდან მოკიდებული ენკენისთვემდე სულ ჰყვავის. ჭარდა ამ მცენარე-ხეებისა, ხეხილიც იძლევა თაფლს, მაგალითად ვაშლი, ბალი, ქლიავი, მსხალი და სხვა.

ბალახებში ქებულია თაფლის მომცემთა შორის იონჯა, სამყურა და „ესპარცენტი“. მეტადრე ეს ესპარცენტი იძლევა იშვიათის ღირსების თაფლს. გარდა ამისა, ყველა ეს ბალახები ნოყიერი საკვებია შინაურ პირუტყვისათვის.

ბოსტნეულებშიც არის ისეთი მცენარეები, რომელიც იძლევა თაფლს. მაგალითად კიტრი, კიტრ-ბალახა (ბორაგო) მდოგვი (გარჩიცა), ქონდარი და სხვა.

მაწყინარ-მათრობელა თაფლს იძლევა იელი და ხაშხაში.


სხვაც ძლიერ ბევრი მცენარეა, ხე არის თუ ბალახი, ისეთები, რომელიც უხვად იძლევა თაფლს, მაგრამ ყველა იმათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. თქვენ თვითონ დააკვირდით მუშა ფუტკრებს და რომელ ყვავილებსაც მზარეული ბზუილით ესტუმრება, იცოდეთ იმისგან ფუტკარი სარგებლობას მოეღის.

ფუტკარი არასოდეს არ ესტუმრება ისეთ ყვავილას, რომელიც გინდ მშვენიერი და მომზიბლავი იყოს თუ მისგან არ ელის სათაფლო ნექტარს. გაგეგონებათ ყვავილთა შორის ქება ვარდისა, მაგრამ ამ ყვავილთა მეფეს ფუტკარი არ სწყალობს, რადგან „რაც ბჭყვრიანებს, ყველა ოქრო არ არის“.

აპ. წულაძე.

(შეზღვევი იქნება)





უძრავი და ცდომილი ვარსკვლავები.

(თარგმანი)

ჭირველ რიგის, ესე იგი
 უძლიერ მბრწყინავ ვარს-
 კვლავთა რიცხვი—თორ-
 მეთია, მეორისა—ოთხ-
 მოცდა ცრხა, მესამისა—ას
 ორმოცდა ოთხი, მეოთ-
 ხისა—სამას ექვსი, მეზუ-
 თისა—შვიდას ოთხმოცი
 და შეექვსისა—ათას რვაას
 სამოცდა შვიდი. დანარჩენ
 რიგის (მეშვიდე, მერვე...
 მესამე) ვარსკვლავებს შე-
 უიარაღებელის თვალით
 ველარა ვხედავთ. როდეს-
 საც მეცნიერები უძრავ
 ვარსკვლავებს თვალს ადღე-

ასტრონომი იყურება ტელესკოპში.

ვინებდნენ, შეამჩნიეს, რომ ბევრი მათგანი ხანდისხან, დრო გა-
 მოშვებით ფერს იცვლის; ასეთ ვარსკვლავებს **ფეროვანს** ეძა-
 ხიან მაგ., არის ვარსკვლავი, სახელად **სირიუსი**, რომელიც,
 ძველ მეცნიერთა ჩვენებით, წითელის ფერისა იყო; ახლა-კი
 ეს ვარსკვლავი მწვანედ ბრწყინავს.

ზოგიერთი ვარსკვლავი ჩვენ ერთი გვეგონია, მაგრამ
 როდესაც ამ ვარსკვლავს ტელესკოპით დავაკვირდებით, შე-
 ვამჩნევთ, რომ ეს ერთი კი არა, ორი-სამი ვარსკვლავია, რომ
 მელნიც ისე მკიდროდ არიან ერთმანეთთან შეკავშირებულ-



ნი, რომ უიარალო თვალისათვის ეს შეუმჩნეველი ჩანს. ასეთ ვარსკვლავებს ეძახიან რთულს.

მეცნიერებმა ვარსკვლავების გამოკვლევის დროს შეამჩნიეს ისეთი ვარსკვლავები, რომლებიც ძლიერ ხშირად იცვლიდნენ თავის ბინას. დაიწყეს ამ ვარსკვლავების გამოკვლევა და აღმოაჩინეს, რომ ამ ვარსკვლავებს მუდმივი ადგილი არ ჰქონდათ: ერთ ღამეს ერთ ადგილს ბრწყინებდნენ, მეორე ღამეს-კი მეორე ადგილს; შეამჩნიეს კიდევ, რომ ეს ვარსკვლავები ხან წავიდოდნენ შორს თავის დროებით ბინიდან, ხან ისევ შეჩერდებოდნენ, შემდეგ-კი ისევ განაგრძობდნენ გზას ცის თვალ-გაღუწვდენელ სივრცეზე. ასეთ ვარსკვლავებს ცდომილს ე. ი. პლანეტებს უწოდებენ. შემდეგ ში აღმოაჩინდა, რომ ეს ვარსკვლავები, პლანეტები, უგზო-უკვლოდ კი არ ხეტიალობენ, არამედ თვითთული მათგანი, ჩვენ დედამიწასავით, თავის საკუთარ, წინდაწინვე აღნიშნულ გზაზე დადის. ამის და მიუხედავად საბელი ცდომილი შინც შერჩათ.

მზისთვის რომ რომელიმე ვარსკვლავიდან შეგვეხედა, უძრავ ვარსკვლავად და არც ასე დიდად მოგვეჩვენებოდა, როგორც ჩვენი დედა-მიწიდან გვეჩვენება. იმავე ვარსკვლავიდან შევამჩნევდით, რომ მზის გარშემო ბევრი იმაზე უფრო პატარა ვარსკვლავები მოძრაობენ; აი, ესენი პლანეტებია რომელთა შორის ჩვენი დედა-მიწაცაა. ჩვენ-კი აქედან გვგონია, ვითომ მზე და სხვა ცდომილები ჩვენს გარშემო ტრიალებენ. უწინდელ დროში სწორედ ასე ფიქრობდნენ ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ერთ ძველ მეცნიერის, სახელად პტოლომეოსის აზრს, რომელიც იესო ქრისტეს დაბადებამდის მეორასე წელში სცხოვრობდა. აი რას ამბობს ეს მეცნიერი ამის შესახებ: „ჩვენი დედა-მიწა უძრავია, მის გარშემო-კი მზე და ექვსი ცდომილი (პლანეტა) ტრიალებს. ეს ცდომილები არიან: მერკური (ხარი-პარია), ვენერა, (ცისკარი,) მარსი, იუპიტერი, სატურნი და ლუნა (მთვარე).“ ყვე-

ლა ამ ცდომილს თვითეული ჩვენთაგანი ჰხედავს უფროსად ვიდრე თვით თავლითაც-კი; ამისათვის ამ ცდომილ ვარსკვლავებს ძველთა-ძველ ღროსაც იცნობდნენ.

შემდეგ ში-კი მეცნიერებმა შეამჩნიეს, რომ პტოლომეოსის აზრი უსაფუძლო იყო, სიმართლეს მოკლებული. ამისათვის თვითეულმა მათგანმა იწყო ამ მოვლენის თავისებურად ახსნა. მხოლოდ ბოლოს, ოთხასის წლის შემდეგ, ერთმა მსწავლულმა, სახელად **კოპერნიკმა**, დაამტკიცა, რომ მზე **უძრავია**, მის გარშემო-კი სხვა და სხვა მანძილის სიშორეზე სასტიკის წესით ტრიალებენ ჩვენი დედა-მიწა და ცდომილები. ჯერ-ჯერობით ას ოცდაათამდე ცდომილი ვარსკვლავი ვიცით: მათში რვა დიდია, დანარჩენი კი — პატარები.

მზე და ცდომილები, რომლებიც მის გარშემო მოძრაობენ (მათ რიცხვში ჩვენი დედა-მიწაცაა), მზის ერთ წყობილებას, მზის სისტემას შეადგენენ.

ზემოლ ვსთქვით, ცდომილები მზის გარშემო მოძრაობენო სხვა-და-სხვა მანძილის სიშორეზე; მაგრამ როგორ გაიგეს ეს მანძილი? მზესა და ცდომილებზე ხომ არავინ ყოფილა, რომ მათი მდებარეობა გაეგო?

იმისი გაგება, თუ რა მანძილის სიშორეზეა ჩვენგან მზე და ცდომილები, ბევრს თქვენგანს, მკითხველო, რაღაც შეუძლებლად მიაჩნია. „თოკით ვერ გამოზომავ, სანახავად-კი ვერ წახვალო“, — გაიძახის უფიცი კაცი. მართალია, ეს საქმე ძლიერ რთული და ძნელი ასასრულებელია, მაგრამ შეუძლებელი არაა. ბევრს თქვენგანს უნახავს, თუ როგორ ზომვენ დიდისა და ფართო წყლის სივრცეს. ამისათვის არც საზომი „ადლი“ და არც თოკია საჭირო. მის გამოსაზომად ერთგვარი იარაღია, რომლის დახმარებით სისწორით და უთოკოდ შეიძლება წყლის სივრცის (თუ გინდ სხვა რაიმეს) გამოზომვა. აი, ასეთი უფრო შემუშავებულის და დიდის იარა-




ლით ზომევენ შზის და სხვა პლანეტის მანძილს. ასტრონომიკური იციან, თუ როგორ უნდა იხმარონ ეს იარაღები, რომლის წყალობითაც გაიგეს, თუ რა სიშორეზეა ჩვენგან მზე, მთვარე და პლანეტები. იმის ახსნა, თუ როგორ მზადდება და როგორ ჰხმარობენ ამ იარაღებს, აქ შეუძლებელია, რადგან ამისათვის ბევრი სხვა საგნის შესწავლა საჭიროა...

ახლა-კი განვაგრძოთ... ამ იარაღების დახმარებით გაიგეს, რომ მთვარე ჩვენგან სამას ოთხმოცი ათასის ვერსის მანძილის სიშორეზეა; მზე და სხვა პლანეტები-კი რამდენი-სამე მილიონ ვერსის მანძილზე. ასე, მზესა და ჩვენს დედამიწას შუა ას ორმოცდა ათი მილიონი ვერსია. მაშასადამე, შესაძლებელი რომ იყოს მზემდის რკინის გზის გაყვანა და ზედ მატარებლის გაშვება, აღმოჩდება, მატარებელმა თვითვეულ საათში რომ ასი ვერსი გაიაროს, მზემდის მისვლას ას ოთხმოცი წელი მოუნდებოდა. ვარსკვლავების სიშორე-კი წარმოსადგენდაც ძნელია.

რაც ჩვენზე ახლოა, უფრო კარგად ვიცნობთ... სწორედ აქაც ასეა. პლანეტები უფრო ახლოა ჩვენზედ, ამისათვის მათი ბუნება უფრო კარგად ვიცით, ვიდრე უძრავ ვარსკვლავებისა. ჩვენ ვიცით, თუ რა მანძილის სიშორეზეა ჩვენგან პლანეტები, ვიცით მათი ფორმა, სიდიდე, რისგან შესდგებიან, რა არის მათზე, რითი არიან გარეშემორტყმულნი და სხვა... ზემოდ ვსთქვით, რომ პლანეტები მზის გარშემო სხვა-და-სხვა მანძილის სიშორეზე ტრიალებენო. ახლა საჭიროა გაგაცნოთ, თუ რომელი პლანეტა რა მანძილის სიშორეზეა მზიდან? მზესთან უახლოესი პლანეტა მერკურია. ეს პლანეტა მოწითალო ვარსკვლავს წარმოადგენს, რომლის დანახვა მხოლოდ მზის ამოსვლისა და ჩასვლის დროს შეიძლება. ეს პლანეტა დედამიწაზე ოცჯერ უფრო პატარაა.

მერკური მზეს ოთხმოცდა რვა დღეში უვლის გარშემო; ჩვენი დედამიწა-კი სამას სამოცდა ხუთში. სამაგიეროდ, მერ-

კური თავის დიამეტრს, ღერძს ¹⁾ ოცდა ოთხ საათში დაწვრილ
წამში უვლის, როგორც ჩვენი დედამიწაც; ამ შემთხვევაში



ისინი არაფრით განირჩევიან. წელიწადი-კი მერკურიზე ოთხ-
ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე ჩვენში. ასე, რომ ჩვენი

¹⁾ თვითვეულ პლანეტას შუაში რომ აზრით ხაზი გაველოთ, ის
ხაზი იქნება დიამეტრი ანუ ღერძი. მთარგ.



ოცდა ათი წლის კაცი იქაურის აღრიცხვით ას რედაქციის წიგნის
 იქმნება. მერკური უფრო ანათებს და უფროც თბება, ვიდრე
 ჩვენი დედა-მიწა, რადგან მზესთან ძლიერ ახლოსაა. იგი ძლიერ
 რთული პლანეტაა: მიწა იმაზე ისე მაგარია, რომ ჩვენებუ-
 რის იარაღით მისი მოხვნა შეუძლებელია. მისი ზედა პირი უს-
 წორ-მასწოროა; ჩვენი დედა-მიწისავეით ეს პლანეტა ჰაერში
 არის გახვეული.

თვითეულს თქვენგანს, მკითხველო, უსათუოდ შეუმ-
 ჩნებია ცაზე ბრწყინვალე, ლამაზი ვარსკვლავი, რომელიც
 ყველა ვარსკვლავზე უფრო ადრე გამოჩნდება ხოლმე სალამოს
 ცაზე და ყველაზე გვიან იმალება დილაობით. ეს პლანეტა
 ვენერაა. ვენერა მერკურიზე უფრო მოშორებით არის მზიდან,
 მაგრამ ჩვენს დედამიწაზე უფრო ახლოა.

ეს პლანეტა მზეს გარშემო ორას ოცდა ოთხ დღეში
 უვლის, თავის ღერძს კი ჩვენ დედა-მიწისავეით ოცდა ოთხ
 საათში. მაშასადამე, აქ და ვენერაზე დღე და ღამე არაფრით
 განირჩევა, მხოლოდ წელიწადი იქ შესამდგომად უფრო ნაკლებია
 ჩვენსაზე. სიდიდით ვენერა თითქმის ჩვენს დედა-მიწას უდ-
 რის და თავის შედგენილობითაც ძლიერ ჰგავს.


ზემოდ ვსთქვით, რომ მერკური და ვენერა ყველა პლა-
 ნეტაზე უფრო ახლოა მზესთანაო. ამისათვის თავის მო-
 გზაურობის დროს ისინი ბანდისხან დედა-მიწის და მზის
 შუა ხვდებიან. ასეთის მდებარეობის დროს ისინი მოშავო
 მრგვალ წრეებს წარმოადგენენ. თვით პლანეტებიც, საზოგა-
 დოდ, მოშავონი არიან, მაგრამ, მზის წყალობით, ბრწყინვალედ
 გვეჩვენებიან. ვენერა და მერკური ზემოდ მოყვანილ შემ-
 თხვევაში მოშავოდა სჩანან იმისათვის, რომ მაშინ ისეთ


მხარეს ვხედავთ, რომელსაც მზე სრულებით არ ანათებს. ანათებს
 ყველა პლანეტები თითქმის მხოლოდ მზის წყალობით ანათებენ....

ვენერას შემდეგ, მზესთან უახლოესი პლანეტა ჩვენი დედამიწა და მისი მუდმივი თანა-მოგზაური მთვარეა.

ვასო ლამბაშიძე.

(შემდეგი იქნება)





შარალა.

პირველ ქართულსა ანბანში
პოეზთ მეთერთმეტ ასოსა
და, რასაც ბოლოს იპოვით,
მას უნდა მიემატოსა.

შეორე—ხისა ნაყოფი
წითლითა ღუის ფოთლებში;
მისი კუნწულა კარგია
თუნდ ქალაქ თუნდა, სოფელში.

ამა ორივეს რო შევკრავთ,
გამოვა სოფლის სახელი,
შიგნით კახეთზე მდებარე
ღვეკთაგან არის ნათელი.

კოლა დარაშვილი.

რ ე ზ უ ს ი

წარმოდგენილია დარაშვილის მიერ.

ცხურის
მასილი

ნ



მ
გ




”



უარის
ნიშანი

პ



’

გ



ზ

”

ძნის შე-
საკრავი

ზ
გ

კაპასი
ანუ?

კ



ქ

ქს ქვეყა



”


 მ { ნაც-
 ვალ'ა-
 ხელი }

მ

{ ნაცვალსახელი }

მ

 { თმის სა-
 ლებავი }
 { ჩემი მული
 რა იქნება
 კმრის }

მ

{ კაპასი ანუ? }


 მ
 მ

{ კაპასი ანუ? }

მ



მ

მე-5 №-ში მოთავსებულ რიგების აღსნა:

1) ამერიკა, 2) თბილისი, 3) ინგლისი, 4) ნიუ-იორკი,
 5) ალტირი.

პირველი ასოებისაგან შესდგება საბერძნეთის დედა ქ-
 ლაქი ათინა.



ნაკადულის რედაქციაში და წ.-კ. საზ.

მაღაზიაში იუიდება შემდეგი წიგნები:

ზღაპრები, ვილჰელმ და იაკობ გრიმისა, ნაკადულის რედაქციის გამოცემა, ფასი . . 30 კ.

ტომის თავ გადასავალი, თსსულება, მარკ-ტვენისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი 50 კ.

რას გვიაგოვს ოთახი. თსსულება ავენაროუსისა, გამოცემა ნაკადულის რედაქციისა, ფასი 20 კ.

მიიღება ხელის მოწერა

1910 წლის იანვრიდან 1911 წლის იანვრამდე

საუმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

ნაკადული

წელიწადი მთავსად

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ — მცირე წლოვანთათვის **12** წიგნი ჟურნალი „ნაკადული“ — მოზრდილთათვის.

გარდა ამისა 1910 წლის ხელის-მომწერლებს პრემიად მიეცემათ:

I. დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი, — ზღაპარი ევადდისა კექსი სურათით. — II. მარჯნები, — ზღაპარი ევადდისა ოთხი სურათით.

III. თორმეტი და, — ზღაპარი ევადდისა ერთი სურათით. — IV. ძართული მხატვრული ასოები კაზიკაზო.

ჟურნალს ხელმძღვანელობს ს. უწვეს სვანგებოლ ანჩეული სარედაქციო კომისია.

ფასი ჟურნალისა: წლიურად ხუთი მანეთი. ნახევრის წლით სამი მან. სემსტრულად გარედ: წლიურად შვიდი მანეთი. ნახევარ წლით ოთხი მან.

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი სამი მან. — მოზრდილთათვის 12 წიგნი სამი მან. — ხელის-მოწერა შეიძლება წლიურად და ნახევარი წლით. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება:

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალოვის სახ., № 8, ყოველ-დღე 9 — 2 საათ., სამშაბათობით საღამოთიც.

2) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურობისა.

ნაკადულის რედაქცია სთხოვს ხელის-მომწერთ:

ვისაც ჟურნალის ნომრები დააკლდება, მიმართონ აგენტს ანუ რედაქციას, არა უგვიანეს ერთის თვისა.

რედაქტორი ნინო ნაკაშიძე

გამომცემელი: თავ. პ. ი. თუმანიშვილი.